CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 8 სექტემბერი, 2009 წელი. №194 (2232) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
***2424**

## აჰმადინეჯადი ობამასთან შესახვედრად მზად არის

A4



## ლიდა პლახა, ეფემია, ამარანტა, სარე, მელა

A5



## საქართველოს ნაკრებს მალტამ წყალი აუმღვრია

A8



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# გასაიდუმლოებული რეზოლუცია

დათო გამისონია

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის ანგარიში მზად არის, თუმცა ის 30 სექტემბრამდე გასაიდუმლოებული იქნება. პარიზში მყოფმა რუსული დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული დასკვნა ნაწილია საშინელებათა ფილმისა, რომელშიც მოსკოვის მიმართ ბევრი კრიტიკული განცხადება ისმის.*

გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევების საკითხი. აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით შექმნილი უკონტროლო ვითარების შესახებ ანგარიში წარმოადგინა საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ კარენ უონკერმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის მოხსენება რუსეთისადმი კვლავაც კრიტიკული იქნება.

# საშემოდგომო "მარათონის" სტარტი

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს მთავრობა ქვეყნის მოსახლეობას ანგარიშს აბარებს - ამ დღეებში თბილისისა და რუსთავის ქუჩებში ჩატარდა ღონისძიება, სახელწოდებით "ანგარიში ხალხს".

**"ხალხთან დიალოგის შედეგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა უნდა გახდეს. მოსახლეობამ უნდა დაინახოს, რომ მის აზრს არა მარტო ვისმენთ და ვითვალისწინებთ, არამედ რეალურად ვმუშაობთ არსებული პრობლემების მოგვარებაზე,"** - მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის უშუალო კონტაქტს მიესალმება პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს ამ სფეროში "ჯანსაღ კონკურენციას" სთავაზობს.

თუ საზოგადოების წინაშე ანგარიშით წარდგენა ნებაყოფლობითია და აღმასრულებელ ხელისუფლებას ამის გაკეთებას კანონი არ ავალდებულებს, სამაგიეროდ კანონის მკაცრი მოთხოვნაა მთავრობის ანგარიშების პარლამენტში მოსმენა.

შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს საშემოდგომო სესიის პირველივე პლენარული სხდომის დღის წესრიგში შევიდა მთავრობის ანგარიში "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ". საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე კვირა პარლამენტში "ანგარიშგების" კვირაა: დღესვე დეპუტატები, მთავრობის ანგარიშთან ერთად, მოისმენენ ეროვნული ბანკის 2008 წლის წლიურ ანგარიშს, პარასკევს კი კანონმდებლების წინაშე ანგარიშით კონტროლის პალატა წარდგება.

მიმდინარე კვირაშივე ჩატარდება ცალკეული კომიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენაც. კერძოდ, ანგარიშებს წარმოადგენენ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი (თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი), თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი (თავმჯდომარე გივი თარგამაძე), ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი (თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი), ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი (თავმჯდომარე გია არსენიშვილი) და სხვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოსკოვმა "ნაბუკოს" ზურგიდან შემოუარა

### რუსული მედია პროექტში სომხეთის შესაძლო ჩართვაზე ალაპარაკდა

*"ნაბუკოს" ირგვლივ ვნებები არ ცხრება. პროექტში ირანის შესაძლო ჩართვის პარალელურად, რომელსაც რუსეთი ლობირებს, დღეს აქტუალური გახდა სომხეთის თემა. რუსული გამოცემა "კომერსანტის" ინფორმაციით, სომხეთსა და თურქეთს შორის დაწყებულმა შერიგების პროცესმა მოულოდნელი შედეგი გამოიღო - გასულ კვირას, ანკარაში გამართულ შეხვედრაზე, "ნაბუკოსთან" ერევნის მიერთების საკითხზე შეთანხმდნენ.*

თამარ ხორბალაძე

რუსული გაზეთის გარდა, მსგავს ინფორმაციას თურქული მედიაც ავრცელებს, თუმცა ოფიციალური შეთანხმების მიღწევა არ დასტურდება სხვა წყაროებით. ამ თემაზე საუბარი მართლაც გახდა აქტუალური მას შემდეგ, რაც სომხეთ-თურქეთის დაახლოების პროცესი დაიწყო. დაახლოების პროცესში სომხური ინტერესი სწორედ საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში მისი როლის გაზრდაა. ცნობისათვის: სომხეთსა და თურქეთზე გამავალი გზა გაცილებით მოკლეა, ვიდრე საქართველოზე. თუმცა ამ პროექტებში სომხეთის ჩართვას თურქეთის სურვილისა და თანხმობის შემთხვევაშიც მთელი რიგი ფაქტორები ეწინააღმდეგება.

ამ ფაქტორებს შორის ექსპერტები გამოყოფენ აზერბაიჯანის პოზიციას. რუსეთის მცდელობები - შეასრულოს შუამავლის როლი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაში, ამ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა. მეტიც - ამ მცდელობებს აზერბაიჯანის მხრიდან საკმაოდ მკაცრი განცხადებებიც მოჰყვა კავკასიაში ომის განახლების შესაძლებლობის შესახებ.

აზერბაიჯანის გარდა, მნიშვნელოვანია დასავლეთის პოზიციაც, რომელიც "ნაბუკოს" განიხილავს რუსული ინტერესების ალტერნატიულ პროექტად. ამიტომ, ამ მარშრუტის გასწვრივ რუსული გავლენის ქვეშ მყოფი სომხეთის აღმოჩენა დასავლეთისთვის მისაღები, ცხადია, ვერ იქნება.

არსებობს წმინდა ფინანსური ფაქტორიც. "ნაბუკოს" პროექტის განხორციელება პირველ ეტაპზე გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული სატრანზიტო ინფრასტრუქტურის - სამხრეთკავკასიური გაზსადენის შტოს გაგრძელებას და, შესაბამისად, ფინანსურად უფრო მომგებიანია იმავე დასავლეთისთვის.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მთავრობა ქუჩაში გამოვიდა

საქართველოს მთავრობა ქუჩაში გამოვიდა. საქართველოს ყველა სამინისტროს საკუთარი საქმიანობის პრეზენტაციისთვის რუსთავის ცენტრალური ქუჩის 1 კმ-იანი მონაკვეთი დასჭირდა. საინფორმაციო ბანერებს თითქმის მთელი ღამის განმავლობაში აწყობდნენ. საგამოფენო სტილში გააზრებულ შეხვედრაზე რუსთაველებმა დილის 10 საათიდან დაიწყეს მისვლა. მთავრობის პირველი პირები 3-4 საათის განმავლობაში მზით გახურებულ ასფალტზე იდგნენ და მოთმინებით პასუხობდნენ მოსახლეობის შეკითხვებს.

არანაირი მდივნები და ბარიერები, მიდი მინისტრთან და ელაპარაკე - ამ "ფუფუნებით" გუშინ ბევრმა რუსთაველმა ისარგებლა. ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ძალოვანი სამინისტროების ბანერებთან ირეოდა, ყველას უნდოდა სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის ხელის შევლება, "ჰამერში" ჩაჯდომა ან ტირში სროლა.

დევნილთა მინისტრი კობა სუბელიანი მნახველებს მუყაოს კოტეჯში იღებდა, რომელიც იმ კოტეჯების ზუსტი ასლი იყო, დევნილებს რომ აუშენეს და კიდევ აუშენებენ. ჯანდაცვის მინისტრის გარშემო, ძირითადად, პენსიონერები ტრიალებდნენ და მისგან ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას ითხოვდნენ. ისინი იქვე წერდნენ წერილებს და მათთვის განკუთვნილ ყუთში ათავსებდნენ. ტრადიციულად აქტიურობდნენ პედაგოგები, რომლებმაც მინისტრისგან პირადად გაიგეს, რომ მე-13 ხელფასს აღარ უნდა ელოდონ, თუმცა სხვა სიახლეები სკოლებში მრავლად იქნება.

ინფორმაციის გაცვლის ახალი მეთოდი ცოტა პომპეზური, თუმცა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.

"შესაძლოა, ამ შეხვედრებით მნიშვნელოვნად არაფერი შეიცვალოს, თუმცა ისიც უკვე კარგია, რომ მთავრობის პირველი პირები ხალხთან პირდაპირ კონტაქტზე საკუთარი ინიციატივით გამოდიან," - აცხადებდნენ რუსთაველები.

რუსთავის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, თავის მინისტრებთან ერთად, ქვეყნის ყველა კუთხის მოვლას აპირებს. "ხალხთან საუბრის ეს ფორმა აშკარად წარმატებული აღმოჩნდა, ისინი დადებითად შეხვდნენ ამას და ჩვენთვის ეს დამატებითი სტიმულია," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. **მაია მოსიაშვილი**

## მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

პოლიტიკური მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" დღეიდან ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს. პროექტის სახელწოდებაა "საქართველო ხვალ", სადაც განხილული იქნება მოძრაობის ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა.

სასტუმრო "თორში", პროექტის ფარგლებში, ხვალ პირველი კონფერენცია გაიმართება.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მოძრაობის ლიდერები, რეგიონული ოფისების წარმომადგენლები, ცნობილი ექსპერტები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების სახეები. ექსპერტები დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით მოსალოდნელ ვითარებას შეაფასებენ, ხოლო მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" წარმოადგენს თავის პოლიტიკურ მიდგომებს, თუ როგორი უნდა იყოს მომავალში საქართველო, როგორც პერსპექტივების მქონე სახელმწიფო. **პრაიმ-ნიუსი**

## იური ტანაევი: ვიდრე რუსეთი ძლიერია, საქართველო ახალი აგრესიის წამოწყებას ვერ გაბედავს

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე. წ. თავდაცვის მინისტრი იური ტანაევი აცხადებს, რომ ვიდრე რუსეთი ძლიერია, საქართველო სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ახალი აგრესიის წამოწყებას ვერ გაბედავს, რადგან "ამ შემთხვევაში მას მოუწევს პირისპირ შებმა რუს მესაზღვრეებთან და რუსულ სამხედრო ბაზასთან მთელი თავისი ძლიერი სამხედრო აღჭურვილობით, "კურდღელი კი დათვის წინააღმდეგ არასდროს იბრძვის".

მისი თქმით, ე. წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს კვლავ პოტენციურ აგრესორად განიხილავს, მაგრამ ვიდრე სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების გარანტი რუსეთია, საქართველო განმეორებით თავდასხმას ვერ გაბედავს.

"საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო და სასულიერო ხელმძღვანელობა დაუფარავად აკეთებს განცხადებებს თავისი აგრესიული განზრახვების შესახებ. საქართველოს პოტენციურ აგრესორად კიდევ იმიტომ განვიხილავთ, რომ იგი ამერიკელ ინსტრუქტორთა დახმარებით შეიარაღებას აგრძელებს," - აცხადებს ტანაევი გაზეთ "კრასნაია ზვეზდასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მისი თქმით, საქართველოს დღეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ რაიმე სერიოზული ნაბიჯის განხორციელება არ ძალუძს, "პატარ-პატარა პროვოკაციები კი შესაძლებელია".

ტანაევის თქმით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებში 3 ათასამდე ჯარისკაცია.

"რაც შეეხება ჩვენს შეიარაღებას, გასული წლის აგვისტოში გორსა და სხვა ადგილებში ქართულმა არმიამ საკმარისი რაოდენობის იარაღი დატოვა, რომელიც წარმატებით ავითვისეთ და ჩვენი არსენალი შევავსეთ," - აცხადებს ტანაევი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მოსკოვმა "ნაბუკოს" ზურგიდან შემოუარა

პირველი გვერდიდან

სწორედ ამიტომ საქართველოს სათბობ-ენერგეტის სამინისტროს კომენტარი "კომერსანტის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე ამ უკანასკნელ ფაქტორს ეხებოდა. სამინისტრო "ნაბუკოს" პროექტში საქართველოს სომხეთით შესაძლო ჩანაცვლების რეალურ შესაძლებლობას ვერ ხედავს.

როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა განაცხადა, საქართველოს აქვს შაჰ-დენიზის არსებული ინფრასტრუქტურა და საკონტრაქტო ურთიერთობები, "ნაბუკო" კი შაჰ-დენიზის გარკვეულ გაგრძელებას წარმოადგენს.

**"თეორიული შანსი შეიძლება იყოს, მაგრამ პრაქტიკულ გამოხატულებაში ამის რეალურ შესაძლებლობას ვერ ვხედავ,"** - აღნიშნა ვალიშვილმა.

ცნობისათვის: "ნაბუკოს" მშენებლობის შესახებ მთავრობათაშორისი შეთანხმება 13 ივლისს ანკარაში გაფორმდა. ხელშეკრულებას თურქეთმა, ავსტრიამ, ბულგარეთმა და რუმინეთმა მოაწერეს ხელი. "ნაბუკოს" პროექტის ღირებულება 7,9 მლრდ ევროს შეადგენს. გაზსადენის წლიური გატარების მოცულობა, წინასწარი ინფორმაციით, 31 მლრდ კუბ.მეტრით განისაზღვრება. გაზსადენი კასპიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში მოპოვებული გაზის საქართველოს და თურქეთის გავლით ევროპაში ტრანსპორტირების მიზნით შენდება. გაზსადენის მშენებლობის დაწყება 2011 წელს იგეგმება.

პროექტის განორციელებაში ერთ-ერთ შემაფერხებელ წინაპირობად გაზსადენის ბუნებრივი აირით დატვირთვის საკითხი რჩება. რუსეთი აქტიურად ცდილობს, გაზის მარაგების შესყიდვით, გაზსადენი რესურსის გარეშე დატოვოს. ამ თვალსაზრისით საინტერესო გახლავთ რუსეთის პრეზიდენტის მიერ 13 სექტემბერს დაგეგმილი ვიზიტი თურქმენეთში. მედვედევი, სავარაუდოდ, შეეცდება, დაარეგულიროს ურთიერთობა გურბანგული ბარდიმუხამედოვთან, რომელიც, რუსეთის მიერ თურქმენული გაზის ბლოკირების შემდეგ, "ნაბუკოს" მიმართულებით გააქტიურდა. ბოლო კვირების განმავლობაში მას სწორედ "ნაბუკოს" გაზით მომარაგების თემებზე ჰქონდა შეხვედრები თურქეთსა და ბულგარეთში. ასე რომ, "ნაბუკოს" პერსპექტივისთვის თურქმენეთის ლიდერის პოზიცია კვლავ აქტუალურია. თუმცა აზერბაიჯანელ ექსპერტებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება, "ნაბუკოს" დასატვირთად აზერბაიჯანის მარაგებიც საკმარისი აღმოჩნდეს.

# ფიქრია ჩიხრაძე: "ოპოზიციას ბევრი ხარვეზი ჰქონდა და ამ ხარვეზების აღმოფხვრა ძალიან მნიშვნელოვანია"

*საგაზაფხულო აქციების დასრულების შემდეგ არასაპარლამენტო ოპოზიცია ახალი სტრატეგიის ფორმირებით არის დაკავებული. "ახალი მემარჯვენეებისთვის" ამ გზაზე მთავარია არსებული ხელისუფლების რეალური "ალტერნატივის" ჩამოყალიბება. ფიქრია ჩიხრაძე "24 საათს" პარტიის სამომავლო გეგმებზე ესაუბრება.*

თამარ ხორბალაძე

**- რა არის 9 აპრილიდან დაწყებული საპროტესტო აქციების შედეგი?**

- კონკრეტული ხელშესახები შედეგის დასახელება გამიჭირდება. ნივთიერი ანუ ხელშესახები შედეგი არ დამდგარა, თუმცა შედეგია ის, რომ საპროტესტო მუხტი გამოჩნდა. უპრეცედენტოდ ხანგრძლივმა აქციებმა დაადასტურა, რომ საპროტესტო მუხტი არსებობს. ასეთი საპროტესტო ფონის არსებობის შემთხვევაში ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. სხვა საკითხია, რამდენად მზად არის ამისთვის ხელისუფლება. ჯერჯერობით რეალური ნაბიჯები არ ჩანს, თუმცა ხელისუფლების მოჩვენებითი საუბრები დემოკრატიისკენ ნაბიჯების გადასადგმელად მზადყოფნის შესახებ, უკვე ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ კრიზისი დაინახა.

**- მიმომხილველები საუბრობენ იმაზე, რომ ამ აქციებისგან ხელისუფლებამ უფრო მეტი ისწავლა, ვიდრე ოპოზიციამ. თქვენი აზრით, რა ისწავლეს მხარეებმა?**

- მე არ მივეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, ვისაც ოპოზიციის შეცდომების დანახვა არ შეუძლია. ოპოზიციას ბევრი ხარვეზი ჰქონდა და ამ ხარვეზების აღმოფხვრა ძალიან მნიშვნელოვანია.

ხელისუფლებამ მართლაც ბევრი რამ ისწავლა - როგორ არ დაუშვას მიუტევებელი შეცდომები; პირდაპირ არ დაარბიოს ხალხი, მაგრამ ქურდულად სცემოს ადამიანებს; როგორ არ გამოიძიოს არც ერთი ასეთი ფაქტი და დასაჯოს ყველა ის მომიტინგე, რომელმაც ან ნამდვილად დაარღვია, ან საერთოდ არ დაურღვევია კანონი.

**- რა იქნებოდა თქვენთვის იმის ნიშანი, რომ ხელისუფლებამ კრიზისი სწორად აღიქვა?**

- დემოკრატიულ ქვეყნებში ამ ტიპის კრიზისი როცა დგება, სერიოზულად იცვლება ხოლმე რაღაცები. მაგალითად, როცა ობიექტურად დადგა ეკონომიკური კრიზისი, ბევრ ქვეყანაში შეიცვალა მთავრობები. საერთოდ, ვადამდელი არჩევნები იმისთვის არსებობს, რომ კრიზისი განიმუხტოს. ადგილობრივი არჩევნები ვერ ჩაითვლება კრიზისის განმუხტვის საფუძვლად. რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული ეს არჩევნები არსებულ კრიზისულ ფონს ვერ განმუხტავს. გარდა ამისა, ჩვენ ვერ ვნახეთ, რომ ხელისუფლება რეალურად ფიქრობდეს სასამართლოს გაუმჯობესებაზე. ერთი-ორი მაინც გვენახა დასჯილი იმ ადამიანებიდან, რომლებიც მომიტინგეებს ესხმოდნენ თავს; სადღაც ხომ მაინც უნდა აჩვენონ სამართლიანობა. ეს იქნებოდა გზავნილი, რომ ხელისუფლება რეალურად ცდილობს სიტუაციის შეცვლას. დავიწყებდი შსს-ს დეცენტრალიზაციას, გადავაყენებდი თარხნიშვილს. არის ნაბიჯები, რომლებიც საზოგადოებას ნდობას გაუჩენდა და ოპოზიციასაც განაწყობდა უშიშროების საბჭოს ფორმატში დიალოგისთვის.

**- არსებობს მოსაზრება, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებას მოქმედების არსებული სტილი საკუთარი რადიკალიზმით უკარნახა - ისეთი მოთხოვნების დაყენებით და ქცევის ისეთი რადიკალური მანერით, რომელიც კონკრეტულ საკითხებზე დიალოგს გამორიცხავდა.**

- ამ ყველაფერს ორი მხარე აქვს. იყო სააკაშვილის გადადგომის რადიკალური მოთხოვნა. მაგრამ, როცა ავტორიტარულ რეჟიმთან გაქვს საქმე, ითხოვ იმის გადადგომას, ვისაც ლომის წილი აქვს შეტანილი ამ რეჟიმის შექმნაში. შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია წავიდა დიალოგზე. პირველი შეხვედრის შემდეგ ხელისუფლებამ თავისი წინადადებები წამოაყენა, რასაც ჩვენი 6-პუნქტიანი შეთავაზება მოჰყვა.

თუმცა, ამას მეორე რაუნდი, კონკრეტულ საკითხებზე დიალოგი აღარ მოჰყოლია. ამას მოჰყვა გაუგებარი შეთავაზება ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრის შესახებ, ასევე იყო ხელისუფლების ინიციატივა მინისტრის მოადგილეების თანამდებობებზე ოპოზიციის წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ, რაც თავის თავში გულისხმობდა სამინისტროებში ოპოზიციის წარმომადგენელთა შესვლას ერთგვარი მონიტორინგის ფუნქციით. სალომე ზურაბიშვილის თანხმობის შემდეგ კი გაირკვა, რომ ამ თანამდებობაზე დანიშვნის სანაცვლოდ ლამის ნაციონალური მოძრაობის წევრი უნდა გამხდარიყავი.

**- ფაქტია, რომ 9 აპრილს დაწყებულ საპროტესტო ტალღას, როგორც თავადაც აღნიშნეთ, ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. რა ბერკეტები აქვს ოპოზიციას მას შემდეგ, რაც აქციები დასრულდა?**

- მე თავიდანვე ვამბობდი, რომ აპოკალიფსური მოლოდინი არ უნდა გაჩენილიყო 9 აპრილამდე. საერთოდ, სჯობდა, ამ ბრძოლაში ოპოზიციას ჩამოყალიბებული ალტერნატივის სახე ჰქონოდა - მკაფიო სტრუქტურით, მკაფიო ხედვით, გამოკვეთილი ლიდერით. არ მინდა, ისე გამიგოთ, თითქოს ოპოზიციას საკუთარ ლიდერს ვახვევდით თავს, იყო სხვა ტიპის შეთავაზებებიც.

**- რატომ ვერ შედგა ამაზე შეთანხმება? იმიტომ, რომ რადიკალები ოპოზიციაში უფრო მრავლად არიან?**

- სამწუხაროდ, არ მოხდა. როგორც ჩანს, ოპოზიციასაც რაღაც გზა ჰქონდა გასავლელი, რათა ახალი ეტაპისთვის დაფიქრებულიყო. ახალი ეტაპი ამ ხარვეზების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს. არ არის აუცილებელი, ყველა ერთ სტრუქტურაში გაერთიანდეს, მაგრამ შეიძლება გამოიკვეთოს სერიოზული ბლოკი, რომელიც ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბდება.

კრიზისი არსებობს, კრიზისი მწვავდება და ამაზე აუცილებელი იქნება პასუხის გაცემა. მე მაქვს განცდა, რომ მაინც უფრო მაღალი რანგის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა გახდება საჭირო.

**- საპარლამენტოს გულისხმობთ?**

- მე არ მაქვს იმედი, რომ კრიზისის განსამუხტად სააკაშვილი ნებაყოფლობით დანიშნავს საპრეზიდენტო არჩევნებს. თუმცა თავად ის ფაქტი, რომ ბაიდენის ვიზიტის შემდეგ ხელისუფლებამ მანდატების აღგენაზე დაიწყო ლაპარაკი, იმის აღიარებაა, რომ პარლამენტში ნორმალური პოლიტიკური პროცესი არ არის და ეს პროცესი ქუჩაშია გადატანილი. ბაიდენმა დიპლომატიურად გააკეთა ამაზე მინიშნება. საპასუხოდ ხელისუფლებამ სცადა იმ ძალების დაბრუნება, რომლებმაც თავის დროზე უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე, თუმცა ამაზე თანხმობა, ცხადია, ვერ მიიღო. ამიტომ ალბათ პოლიტიკურად გამართლებული იქნება საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

**- ალასანიას პარტიის ჩამოყალიბების შემდეგ საკმაოდ აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ალიანსი შეიძლება დაიშალოს.**

- ალიანსი რა ფორმითაც არსებობდა, იმ ფორმით არსებობს. ჩვენ ვცდილობთ, არ ვიყოთ კარჩაკეტილი ორგანიზაცია და მომავალში შესაძლოა კიდევ უფრო გავიზარდოთ. ალიანსის დაშლაზე ლაპარაკი ხელისუფლების პიარია.

ასეთი პროცესები შეიძლება წლების შემდგომ განვითარდეს, თუმცა დღეს ალასანიას პარტიის დაფუძნება არაფერს ცვლის. ჩვენც და "რესპუბლიკელებიც" ჩამოყალიბებული პარტიები ვართ და ჩვენთვის გაცილებით ადვილია, პარტნიორად ალასანიას ჩამოყალიბებული პარტია გვყავდეს და არა უბრალოდ არასტრუქტურიზებული პოლიტიკური გუნდი.

**- განხეთქილებაზე საუბარი, გნებავთ ამას სახელისუფლებო პიარი დაარქვით, მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ცნობილი გახდა თქვენი პარტიისა და კახა თარგამაძის პარტნიორობა.**

- არავითარი პარტნიორი არ არის კახა თარგამაძე. თარგამაძესთან ერთი შეხვედრით ხელისუფლებამ კრიზისული ვითარების გადაფარვა მოინდომა. ჩვენ ჩვენი პარტნიორები არასდროს დაგვიმალავს. ალიანსს აქვს იმის უნარი, რომ მრავალფეროვანი იყოს. "ახალმა მემარჯვენეებმა" ვაჩვენეთ, რომ ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ქუჩის ელემენტების გამოყენება შეგვიძლია; ირაკლი ალასანიას გუნდმა დიალოგის მზადყოფნა და კომპრომისების ძიების საჭიროება აჩვენა; ჩვენ ვავსებთ ერთმანეთს. ჩვენ საზოგადოებას უნდა დავანახოთ, რომ ყველანაირად შეგვიძლია ბრძოლა.

**- მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ არჩევნებს კრიზისიდან გამოსავლად არ მიიჩნევთ, მიიღებთ თუ არა ამ არჩევნებში მონაწილეობას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გადაწყვეტილება უფრო მაღალი რანგის არჩევნების ჩატარების შესახებ?**

- ამ გადასახედიდან ძალიან გამიჭირდება გადაწყვეტით იმის თქმა, მივიღებთ თუ არ მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. ყველაფერს გავაკეთებთ საარჩევნო გარემოს შესაცვლელად და ამაში საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი გვაქვს.

გეტყვით იმას, რომ როცა მანდატები დავტოვეთ, მხოლოდ ერთწლიანი ბრძოლისთვის არ ვყოფილვართ განწყობილნი. კრიზისმა გააჩინა რიგგარეშე არჩევნების საჭიროება. სიტუაცია განმუხტვას ითხოვს. ყველა შემთხვევაში, ჩვენ მარათონისთვისაც მზად ვართ და შევეცდებით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საზოგადოებასაც ჩვენი სახით ალტერნატივა შევთავაზოთ.

**- მაშინ, როდესაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეხვედრებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო, თქვენი აზრით, დღესდღეობით მათ შორის როგორი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე შეიძლება საუბარი?**

- რაიმე მზა ფორმულის თქმა ნამდვილად გამიჭირდება, თუმცა ვისურვებდი, რომ აზრთა სერიოზული განსხვავების და ხშირ შემთხვევაში ძალიან მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, პოლიტიკური ურთიერთობისთვის და დიალოგისთვის სივრცე არსებობდეს. ვფიქრობ, რომ ეს სერიოზული პასუხისმგებლობა არის ყველასი და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით - მმართველი პოლიტიკური გუნდის. ხელისუფლება ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისთვის, რომ პოლიტიკური დაპირისპირების გადასაწყვეტად, დიალოგისთვის სივრცე დატოვოს. ჩვენ კი მზად ვართ, რომ ამ ტიპის პროცესებს ხელი შევუწყოთ.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# გასაიდუმლოებული რეზოლუცია

პირველი გვერდიდან

**"არავინ იცის რა ხდება იქ, როგორ ირღვევა ქართველებისა და ოსების უფლებები. ჩვენს ორგანიზაციას აუცილებლად უნდა მიეცეს მუშაობისა და ადამიანის უფლებების დარღვევების აღრიცხვის უფლება. დამკვირვებლებმა უნდა აღნუსხონ გალის რაიონში არსებული მდგომარეობა,"** - განაცხადა უონკერმა. გარდა ამისა, ბიუროზე იმყოფებოდა მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენელი. საკუთრივ კომიტეტის სხდომა კი ხვალ გაიმართება. სხდომაზე მომხსენებელთა შორის იქნებიან ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარე მათიას ეორში და ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიის მომხსენებელი რუსეთის საკითხზე ლუკ ვან დერ ბრანდე. ისინი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მოხსენებაზე ერთად მუშაობენ. ანგარიშის მიხედვით მომხსენებლებმა რეზოლუციის ვარიანტი მოამზადეს, თუმცა საკუთრივ ანგარიშის ტექსტი ჯერჯერობით კონფიდენციალურია. რუსეთის ფედერაციის მიმართ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციათა დამოკიდებულებას დიდ წილად განაპირობებს ამ დოკუმენტის შინაარსი. ევროსაბჭოში საქართველოს ელჩმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა აღნიშნულ ანგარიშზე მხოლოდ ზოგადი განმარტება გააკეთა. **"ანგარიში რუსეთის მიმართ საკმაოდ მკაცრია, მასში ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. რუსეთმა საბოლოოდ უნდა თქვას, აპირებს თუ არა წინა ორი რეზოლუციით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას,"** - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს საკითხის გამო რუსეთის წინაშე დაგროვილი მოთხოვნების შესახებ "24 საათს" ესაუბრა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი. მისი თქმით: **"უკვე სამჯერ იყო ასეთი განხილვები და რუსეთის მიმართ მოთხოვნები ძალაშია - მათ შორის დამოუკიდებლობის აღიარების უკან წაღება, დეოკუპაცია და სამშვიდობო ფორმატის ინტერნაციონალიზაცია. 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება."** დარჩიაშვილის აზრით, რუსეთზე საერთაშორისო დიპლომატიური ზეწოლა ხდება, მით უმეტეს საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხს სხვადასხვა დონის ფორმატებში მუდმივად აყენებს. დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს ზეწოლა მანამ გაგრძელდება, ვიდრე რუსეთი მოთხოვნების შესრულებას არ დაიწყებს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრს მიაჩნია, რომ ძალიან მძიმეა რუსეთისთვის, **"როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა, ავტორიტეტული ორგანიზაციები მუდმივად ახსენებენ, რომ მას აქვს ვალდებულება, რომელიც უნდა შეასრულოს."** ყოველივე ამასთან ერთად, 29 სექტემბერს დაგეგმილია ქართულ-რუსული დებატები. შეუსრულებელი ვალდებულებების გამო მოსკოვს, სავარაუდოდ, კრიტიკა ელის. ასევე კვლავ დაისმება რუსი დეპუტატებისთვის ხმის უფლების შეჩერების საკითხი.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის წევრ კონსტანტინე კოსაჩოვს რეალურად მიაჩნია, რომ მათთვის არასასურველი შედეგი დადგეს. **"თუ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მისი და, საბოლოოდ, საქართველოს პრობლემა იქნება. თუ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა დაუშვებს ასეთ შეცდომას და მიიღებს რადიკალურ გადაწყვეტილებას, ჩვენ არავის მოვთხოვთ ამ გადაწყვეტილების შეცვლას და არავის დავუწყებთ კუდში დევნას და ხვეწნას. ჩვენ, უბრალოდ, მივადევნებთ თვალს, როგორ გადაწყვეტს ამ პრობლემას ასამბლეა და როგორ განვითარდება მოვლენები,"** - განაცხადა კოსაჩოვმა პარიზში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ.

ხვალ მონიტორინგის კომიტეტის სხდომა ჩატარდება, ხოლო ხუთშაბათს პოლიტიკური ჯგუფის სხდომაა დაგეგმილი.

# საშემოდგომო "მარათონის" სტარტი

პირველი გვერდიდან

თუ ზემოთ დასახელებული თემები საკმაოდ "აკადემიურია" და მათი საპარლამენტო განხილვა, სავარაუდოდ, "უხმაუროდ" ჩაივლის, სამაგიეროდ მწვავე პოლემიკაა მოსალოდნელი ისეთ საკითხებზე მსჯელობის დროს, როგორიც არის, მაგალითად, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის სადეპუტატო მანდატების აღდგენა და პარლამენტის სხდომების ქუთაისში გადატანა. ამ უკანასკნელ საკითხზე დისკუსია პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზევე დაიწყო, უფრო დეტალურად კი დეპუტატები მის შესახებ პარასკევს იმსჯელებენ.

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის სადეპუტატო მანდატების აღდგენას, საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაშიც კი საეჭვოა, რომ რადიკალური ოპოზიციის ლიდერები პარლამენტში შესვლაზე დათანხმდნენ. მით უმეტეს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე უკვე შესულია "ლეიბორისტული პარტიის" წერილი პოლიტიკური ბოიკოტის გაგრძელების შესახებ.

საშემოდგომო სესიის სტარტზე დეპუტატები ერთ საკადრო საკითხსაც განიხილავენ - ყაზახეთსა და ყირგიზეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პაატა კალანდაძის კანდიდატურა წარადგინა.

# ქართველი დიპლომატებისა და მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრა

*სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს მთავრობისა და უცხოეთში აკრედიტებულ ქართული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა შეხვედრა გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გახსნა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა პრობლემატიკაზე და დაისახა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*

აგვისტოს ომის შემდეგ ქართველ დიპლომატთა პირველი შეხვედრა გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა.

უცხოეთში აკრედიტებულ ქართველ ელჩებთან შეხვედრიდან გამოსულმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ დღეს საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტებია უსაფრთხოება, სტაბილურობა, უშიშროება და მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. **"ამ კონტექსტში ელჩებთან შეხვედრაზე ის საკითხები განვიხილეთ, რომლებზეც რუსეთთან "ფრონტის ხაზი" გადის. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ საქართველოს საერთაშორისო სტატუსის შერყევა. უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ქვეყანა დემოკრატიულ, ლიბერალური რეფორმების გამტარებელ სახელმწიფოდ წარმოვაჩინოთ. ჩვენ ვიუსაუბრეთ იმაზეც, თუ რა არის სასწრაფოდ გასაკეთებელი რუსეთთან მიმართებაში. განვიხილეთ ამ საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები. საჭიროა მუშაობა საერთაშორისო არასამთავრობო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საპარლამენტო ასამბლეებთან, რათა საქართველოს თემა ყოველთვის ყურადღების ცენტში იყოს და რუსეთს ძვირად დაუჯდეს ის, რაც შარშან აგვისტოში ჩაიდინა,"** - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ქართველი დიპლომატებისა და მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე გუშინ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრიც მივიდა. იაკობაშვილმა დიპლომატებთან შეხვედრაზე ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ისაუბრა. **"დღევანდელი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი ქვეყნის დეოკუპაციაა. ამას ჩვენ დამოუკიდებლად ვერ მოვახერხებთ და საჭიროა საერთაშორისო მხარდაჭერა. ბრძოლა, რომელიც რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ აქვს გაჩაღებული, კვლავ გრძელდება და ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქართველ ელჩებს სათანდო ინფორმაცია ჰქონდეთ,"** - განაცხადა იაკობაშვილმა.

საზღვარგარეთ აკრედიტებული ქართველი დიპლომატები დღეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდებიან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქართველი ელჩები დღეს 10:00 საათზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ანალიტიკური დირექტორატის უფროს გიორგი მანჯგალაძეს, შემდგომ ეკონომიკური განვითარების მინისტრ ზურაბ პოლოლიკაშვილს, ფინანსთა მინისტრის მოადგილე დიმიტრი გვილდაძეს, სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძეს შეხვდებიან.

მოგვიანებით ქართველ ელჩებთან შემაჯამებელ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გამართავს, ამის შემდგომ კი ელჩებს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური შეხვდება.

*საკუთარი ინფორმაცია*

## "ლებორისტები" გაზის მიმწოდებელ კომპანიებს მოსახლეობის ძარცვაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე გაზის მიმწოდებელი კომპანიებისგან მოითხოვს, დაუბრუნონ მოსახლეობას თანხები, რომლებითაც მათ გაზის მრიცხველები შეიძინეს.

როგორც პაატა ჯიბლაძემ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, 1 სექტემბერს ძალაში შევიდა სემეკის დადგენილება, რომლის საფუძველზეც გაზის მრიცხველების საფასურს გაზის მიმწოდებელი კომპანია აანაზღაურებს. "ვიდრე აღნიშნული დადგენილება ძალაში შევიდოდა, გაზის მიმწოდებელი კომპანიები ტოტალურად ძარცვავდნენ მოსახლეობას და მრიცხველში 125 ლარს ახდევინებდნენ. მოვითხოვთ, დაუბრუნოს ყველა გაზის მიმწოდებელმა კომპანიამ მოსახლეობას კუთვნილი თანხები ან მოხმარებული გაზის საფასურში გამოუქვითოს," - განაცხადა ჯიბლაძემ.

მისივე თქმით, თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება "ლეიბორისტული პარტია" პროტესტის კონსტიტუციურ მეთოდებს მიმართავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში ახალგაზრდა ქალების სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კიბოა

საქართველოში ახალგაზრდა ქალების სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კიბოა. ასეთი შედეგი გამოავლინა რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევამ, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დააფინანსა, ხოლო განახორციელა "ქალთა ჯანმრთელობა საქართველოში" პროექტმა, ასევე აშშ-სა და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრებმა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია დღეს გაიმართა. საქართველოში რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევის ძირითადი მიზანი იყო 2006 წლის განმავლობაში გარდაცვლილ რეპროდუქციული ასაკის ქალთა (15-49 წლის) სიკვდილიანობის მიზეზების დადგენა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დედათა სიკვდილიანობის რეალური მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ოფიციალურად რეგისტრირებული. შედეგებმა ასევე გამოავლინა, რომ კიბო, განსაკუთრებით კი ძუძუს კიბო, ახალგაზრდა ქალთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

კვლევის ჩასატარებლად 230 ათასი აშშ დოლარი გამოიყო. კვლევის შედეგებს წარმოადგენს საქართველოში ამერიკის ელჩის მეუღლე მარიელა ტეფტი, რომელიც კვლევას პირადად წარმართავდა. **ინტერპრესნიუსი.**

## გალის რაიონის მოსახლეობას აფხაზური პასპორტების ასაღებად ვადა 1 ოქტომბრამდე მისცეს

როგორც "პირველს" გალელმა პედაგოგებმა განუცხადეს, სეპარატისტები ულტიმატუმებზე გადავიდნენ და გალის რაიონის მოსახლეობას აფხაზური პასპორტების ასაღებად ვადა 1 ოქტომბრამდე მისცეს "პედაგოგებს ხელფასების მოხსნით გვემუქრებიან, პენსიონერებს - პენსიების, ზოგადად მოსახლეობას კი საზღვრებზე პრობლემებს უქმნიან. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზური პასპორტის აღების სანაცვლოდ ქართულ პასპორტებს არ ითხოვენ და არც ქართული მხარისგან გვექნება პრობლემები, მოსახლეობამ გადაადგილების გამარტივების მიზნით პასპორტების აღება დაიწყო, თუმცა გაურკვეველი მიზეზებით საბუთის გაცემა საკმაოდ ჭიანურდება," - განუცხადეს "პირველს" პედაგოგებმა. "პირველის" შეკითხვაზე, აიძულებენ თუ არა ოკუპანტები სკოლებს რუსულ სწავლებაზე გადასვლას, პედაგოგებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. "ამაზე საუბარი დიდი ხანია, მიმდინარეობს, თუმცა სწავლა წელსაც ჩვეულებრივ, ქართულად დავიწყეთ და არანაირ შეზღუდვას და ძალდატანებას ჯერ ადგილი არ ჰქონია. ერთადერთი მათი მოთხოვნა დამატებით საგნად აფხაზური ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლაა".

ცნობისათვის, გალის რაიონის სკოლებში სასწავლო პროცესი 1 სექტემბერს განახლდა. **პირველი**

## ახმედ დავითოღლუ: "თურქული მხარე აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად ძალისხმევას არ დაიშურებს"

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ახმედ დავითოღლუს განცხადებით, "კავკასიაში მშვიდობა საქართველოში მშვიდობის გარეშე წარმოუდგენელია". როგორც მინისტრმა ქართველ კოლეგა გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, "საქართველოში მშვიდობის უზრუნველყოფის პრინციპის საფუძველზე თურქული მხარე აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად ძალისხმევას არ დაიშურებს". "საქართველოში მშვიდობის გარეშე კავკასიაში მშვიდობა წარმოუდგენელია, ამიტომ საქართველში პრობლემების მოგვარება და მშვიდობის უზრუნველყოფა რეგიონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ პრინციპის საფუძველზე ჩემი მოადგილე თბილისში ჩემი ვიზიტის დასრულების შემდეგ აფხაზეთში ჩავა. აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად ძალისხმევას მომავალშიც არ დავიშურებთ," - განაცხადა დავითოღლუმ. მისივე თქმით, "ვაშაძესთან შეხვედრისას სხვა პროცესებზეც იყო საუბარი, მათ შორის - თურქეთ-აზერბაიჯან-საქართველოს დონეზეც". ამ კონტექსტში სტუმარმა ისიც აღნიშნა, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და მსგავსი პროექტები კავკასიის რეგიონს სტაბილურობას მოუტანს". **პირველი**

# ავღანეთის მორიგი დაბომბვა საერთაშორისო სკანდალის საფუძველი ხდება

ივა შილაკაძე

ავღანეთში ბოლო პერიოდში ძალიან მწვავედ დგას საბრძოლო ოპერაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის საკითხი. ეს თემა მუდმივად განიხილება უმაღლეს დონეზე შეხვედრების დროს. ნატო-ს კოალიციური ძალებიც და შეერთებული შტატების კონტინგენტიც თითქოს ცდილობენ მოსახლეობაში მსხვერპლის მინიმუმამდე დაყვანას, თუმცა ჯერჯერობით ამას ხელშესახები შედეგი არ მოაქვს. ძალის გადამეტებული გამოყენება და შეცდომები რეგულარულად ხდება, მშვიდობიანი მოქალაქეების მესამედი კოალიციური ძალების მიზეზით იღუპება. გასულ პარასკევს მომხდარმა ფაქტმა კი კოალიცია ლამის შოკში ჩააგდო.



აფეთქებული ბენზინმზიდი

AFP © 2009

თალიბები კუნდუზის პროვინციაში, ქალაქ ალიაბადთან ახლოს თავს დაესხნენ ნატო-ს ძალების მომარაგების კოლონას, მძღოლები დახოცეს და ბენზინმზიდები გაიტაცეს. ამ "ტვირთით" რომელიღაც მდინარის გადალახვა ვერ მოახერხეს და შეფერხდნენ. მათი კოორდინატები ნატო-ს სარდლობამ ავიაციას გადაუგზავნა და ცოტა ხანში ბენზინმზიდები და მის გარშემო მყოფი თალიბები საჰაერო დარტყმებით გაანადგურეს. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ფაქტი - ბენზინმზიდების გარშემო საჰაერო შეტევის დროს უკვე იმყოფებოდნენ არა მხოლოდ თალიბანის მებრძოლები, არამედ ახლომდებარე სოფლის მშვიდობიანი მცხოვრებნიც, რომლებიც თალიბებმა გატაცებული ბენზინის მისაღებად "დაპატიჟეს". ამ დღეებში დაღუპულების შესახებ წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელდებოდა. მათი რაოდენობა სამოციდან ოთხასამდე მერყეობდა. დღეს მეტნაკლებად დაზუსტებულად შეიძლება ითქვას, რომ დაღუპულია 95-დან (ოფიციალური მონაცემებით) 150 (თალიბების ინფორმაციით) ადამიანამდე. მძიმედ დაშავებულიც ბევრია. პროვინციის გუბერნატორ მოხამად ომარის ცნობით, დაღუპულების უმრავლესობას თალიბანის მებრძოლები (45 ადამიანი) და ქურდები შეადგენდნენ, თუმცა იყვნენ მშვიდობიანი მოქალაქეებიც. დაიღუპა თალიბების საველე მეთაური მოლა აბდულ რახმანიც.

იმავე დღეს ნატო-ს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ინციდენტის სერიოზული გამოძიების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა განაცხადა. ავღანეთის ჩრდილოეთში უკვე ჩავიდა სამხედრო მაღალჩინოსანთა ჯგუფი. საკუთარი გამოძიება დაიწყო და თავის ექსპერტთა ჯგუფი გაგზავნა ავღანეთის დახმარების გაერო-ს სპეციალურმა მისიამაც. როგორც მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ პიტერ გელბრაიტმა განაცხადა, პირველ რიგში დახმარება უნდა გაეწიოთ დაშავებულებსა და დაღუპულთა ოჯახებს, გარდა ამისა, უნდა დადგინდეს, რატომ გაიცა საჰაერო დაბომბვის ბრძანება, თუ ძნელი გასარკვევი იყო ბენზინმზიდებთან მოსახლეობის ყოფნის ფაქტი.

გამოძიების აუცილებლობის შესახებ განცხადება გააკეთა თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფოს ხელმძღვანელმა. გუშინ ბრიტანეთის პრემიერ გორდონ ბრაუნთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე საკმაოდ მკვეთრად გამოვიდა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც. ლიდერებმა სამძიმარი გამოუცხადეს დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქეების ოჯახებს და განაცხადეს, რომ საჭიროა, ავღანეთის შესახებ უახლოეს თვეებში უმაღლეს დონეზე კონფერენცია მოეწყოს. გერმანიაში ამ ფაქტმა საშინაო პრობლემებიც წარმოშვა. ამ ქვეყანაში მასახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ავღანეთში მათი ჯარისკაცების ყოფნის წინააღმდეგია, ეს სამწუხარო ინციდენტი კი არჩევნების წინ გერმანიის ხელისუფლებისთვის დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა - ხალხის აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ ავიადარტყმის შესახებ ბრძანება კოალიციური ჯარების გერმანული კონტინგენტის სარდალმა გასცა.

ევროპული სახელმწიფოების მეთაურები უფრო ხმამაღლა აკლაპარაკდნენ იმაზე, რომ ავღანეთის ადგილობრივ ხელისუფლებას უსაფრთხოების საკითხებში მეტი პასუხისმგებლობა უნდა გადაეცეს. ეს ზოგიერთმა პოლიტიკურმა კომენტატორმა ავღანეთიდან უკანდახევის სტრატეგიის შემუშავების მცდელობადაც აღიქვა, თუმცა ამის შესახებ ჯერჯერობით სიტყვა არავის დასცდენია.

ინციდენტის საერთაშორისო გამოძიება მოითხოვა მოძრაობა თალიბანმაც. მათ ასეთი მოწოდებით გაერო-ს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართეს.

ამავე დროს ავღანეთის ხელისუფლებას საკუთარი შიდაპრობლემებიც ყოფნის. საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე დათვლილია ხმების, დაახლოებით, ორი მესამედი და მოქმედ პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის ჯერჯერობით ხმათა 48,6 პროცენტი აქვს. მისმა მთავარმა კონკურენტმა, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა აბდულამ ხმათა 31,7 პროცენტი დააგროვა. აბდულა აბდულას მომხრეები და საერთაშორისო დამკვირვებელთა ნაწილი აცხადებენ, რომ ადგილი აქვს ხმების ტოტალურ გაყალბებას, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთში, რასაც ოპოზიციონერის ბანაკი მთლიანად ვერ აკონტროლებს. დოქტორ აბდულას მონაცემებით, მოსახლეობის უმრავლესობამ მას მისცა ხმა. საარჩევნო კომისია ასეთ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ დარღვევების შესახებ ყველა ოფიციალური საჩივარი განხილვის სტადიაშია. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ყარზაი ალბათ მოახერხებს 50-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას პირველივე ტურში გასამარჯვებლად, რადგან დასათვლელი ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის სამხრეთზე მოდის, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რეალურად უჭერს მხარს მოქმედ პრეზიდენტს.

# აჰმადინეჯადი ობამასთან შესახვედრად მზად არის

მარიკა იაშვილი

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი მზად არის, აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას პირადად შეხვდეს და დისკუსია სახალხოდ გამართოს, - ამის შესახებ აჰმადინეჯადმა თეირანში მოწყობილ პრესკონფერენციაზე თავად განაცხადა.

ირანის ლიდერმა ისიც აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები უნდა შეიცვალოს და რომ სამართლიანობის პრინციპების იგნორირებით ვერც ერთი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა ვერ მოხერხდება. მისი თქმით, მსოფლიო საზოგადოებამ ზნეობრივი და ადამიანური პრინციპებით უნდა იხელმძვანელოს.

აჰმადინეჯადის განცხადებით, ირანი მზად არის, შუამავალთა ექვსეულთან ბირთვული პროგრამის შესახებ სამართლიანი და ლოგიკური დიალოგი გამართოს. ამავე დროს მან კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ირანი არ აპირებს, უარი თქვას მსოფლიო ბირთვული ტექნოლოგიების ათვისებაზე და ის საერთაშორისო ატომურ სააგენტოსთან თანამშრომლობას განაგრძობს.



მაჰმუდ აჰმადინეჭადი

AFP © 2009

ბირთვული პროგრამის შესახებ დიალოგის განახლებაზე მზადყოფნა ირანმა ჯერ კიდევ გასულ კვირას გამოთქვა.

ირანის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს შუამავალთა ექვსეულის მიმართვა მოჰყვა, რომლებმაც ირანის ლიდერს მოუწოდეს, დიპლომატიას კიდევ ერთი შანსი მისცეს. აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და რუსეთი აცხადებენ, რომ ირანთან მოლაპარაკებათა განახლების გზა ძველებურად არსებობს. შუამავლები ამჟამად ოფიციალური თეირანის გადაწყვეტილებას ელოდებიან, რომელმაც დიალოგის განახლებზე თანხმობა გაერო-ს გენერალური ასამბლეის გამართვამდე ანუ 15 სექტემბრამდე უნდა განაცხადოს. თუმცა როგორც ჟურნალისტები და ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, გაკეთებულ განცხადებებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყვება.

აშშ და რიგი დასავლური ქვეყნები ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებენ და პრობლემის დიპლომატიური გზით გადაჭრისკენ მოუწოდებენ. თეირანი კი, თავის მხრივ, ყველა ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის ელექტროენერგიით დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული.

თეირანსა და ვაშინგტონს პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობა 1979 წლის შემდეგ აღარ აქვთ.


## განცხადება

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე:

- გინეკოლოგი
- ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი
- ბავშვთა ნევროლოგი
- მამოგრაფიის სპეციალისტი
- ნეფროლოგი
- უროლოგი
- დერმატოლოგი
- კარდიოლოგი
- ოფთალმოლოგი
- რევმატოლოგი

**მოთხოვნები:**

- სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
- პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 ოქტომბრამდე
მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ N20
ტელ: 91 31 19;
91 32 42

# ლიდა პლახა, ეფემია, ამარანტა, სარე, მელა ...

თამარ კიკნაველიძე

*"მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ სპექტაკლის დამთავრებისთანავე თეატრი კვდება, მაგრამ რატომაა, რომ ჩემში აქამდე ცოცხლობენ შენს მიერ განსახიერებული სახეები? ასე მგონია ისინი მუდამ ჩემს გვერდით არიან, ყველა იმათ გვერდით, ვისაც ისინი ახსოვს", - მიხეილ თუმანიშვილი*


"მოხუცი ჯამბაზები"

რუსთაველის თეატრის მუზეუმის ფოტოები


"პეპო"



2008 წლის 10 ივნისს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ რონალდ ჰარვუდის ნაწარმოების მიხედვით დადგა სპექტაკლი, სახელწოდებით "მოხუცი ჯამბაზები", სადაც მაყურებლის წინაშე უფროსი თაობის მსახიობები წარსდგნენ. ამ დადგმაში განსახიერებული ელისოს როლი მედეა ჩახავასთვის უკანასკნელი აღმოჩნდა... ის 88 წლის ასაკში გამოგვეთხოვა.

მაყურებელს მან თავი არაერთი თეატრალური თუ კინოროლით დაამახსოვრა. ის გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, იყო სასურველი პარტნიორი და ბევრისთვის საყვარელი მსახიობი. ამ ყველაფერთან ერთად, მუდამ მომღიმარი და სიცოცხლის მოყვარული ქალბატონი მედეა ჟურნალისტების საყვარელი რესპოდენტიც გახლდათ... მოსაგონარი მას მართლაც ბევრი ჰქონდა...

მედეა ჩახავა 1921 წლის 15 მაისს, მარტვილის რაიონის სოფელ სერგიეთში დაიბადა. 1944 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და ამავე წელს ჩაირიცხა რუსთაველის თეატრში, რომლის სცენაზეც არაერთი მნიშვნელოვანი სახე შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია: ჯენევრა ("ღრმა ფესვები"), მაშენკა ("ზოგჯერ ბრძენიც შეცდება"), გაიანე ("ჩაძირული ქვები"), მაიკო ორბელიანი ("ნიკოლოზ ბარათაშვილი"), ეთერი ("მისი ვარსკვლავი"), ლიდა პლახა ("ადამიანებო იყავით ფხიზლად"), ეფემია ("პეპო"), გაიანე ("რალატი"), ამარანტა ("ესპანელი მღვდელი"), თინა ("ტარიელ გოლუა"), კლარა ("ფილოსოფიის დოქტორი"), სარე ("ეზოში ავი ძაღლია"), იამზე ("ამბავი სიყვარულისა"), ოფელია ("ჰამლეტი"), მარგარიტა ("ფიროსმანი"), მელა ("ჭინჭრაქა"), მარი ოქტომბერი ("შეხვედრა"), მანდა ("შუშის სამხეცე"), მარიამი ("გვადი ბიგვა"), კნეინა ჩიტუნია ("გუშინდელნი"), მარია ხოსეფა ("ბერნარდა ალბას სახლი"), რუსულის მასწავლებელი ("მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), მარგარეტ ("რიჩარდ III"), პუპლია ("შორაპნელი ქალბატონები") და სხვა.

"... იმ წლების თეატრის სახეს ბატონი დოდო ალექსიძე და ბატონი მიშა თუმანიშვილი ქმნიდნენ. მათმა შემოქმედებითმა ჭიდილმა ქართულ თეატრს ბევრი რამ შესძინა", - იხსენებდა მსახიობი 1992 წელს ჟურნალში, სახელწოდებით "თეატრი და ცხოვრება", გამოქვეყნებულ ინტერვიუში. მან მუშაობა სწორედ იმ პერიოდში დაიწყო, როდესაც ქართული თეატრი განვითარების ახალ ეტაპზე გადადიოდა. იმ დროს ახალგაზრდების ნიჭიერი თაობა ძველის გაანალიზებასა და შეცვლას ნოვატორ რეჟისორებთან ერთად ცდილობდა. გავა წლები და მედეა ჩახავასთან თანამშრომლობით აღფრთოვანებული მიხეილ თუმანიშვილი მისდამი მიძღვნილ წერილში იტყვის: "*... მე მინდა გითხრა ძალზე ალერსიანი, ლამაზი, კარგი სიტყვები და ამით გამოვხატო ჩემი შენდამი სიყვარული, ჩემო კეთილო, ლამაზო, ერთგულო და საყვარელო მსახიობო! რამდენი რეპეტიცია ჩაგვიტარებია ერთად, რამდენს ვეძებდით, რამდენი გამარჯვება და რამდენი ჩავარდნა გვიგემნია. ვიყავით ბედნიერნი, თეატრის სიყვარულით აღსავსენი. რამდენ სიხარულს ანიჭებდი ხალხს! განა ეს ცოტაა? მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ სპექტაკლის დამთავრებისთანავე თეატრი კვდება, მაგრამ რატომაა, რომ ჩემში აქამდე ცოცხლობენ შენ მიერ განსახიერებული სახეები? ასე მგონია ისინი მუდამ ჩემს გვერდით არიან, ყველა იმათ გვერდით, ვისაც ისინი ახსოვს. როდესაც ქალაქის ძველ შუკებში დავხეტიალობ და ზედა სართულების ხის აივნებს შევყურებ, სულ მგონია, რომ იქ ფეფელა ცხოვრობს, ან როდესაც თბილისის დიდ ეზოებში შევდივარ, თვალებს ვაცეცებ, იქნებ შენს სარეს შევხვდე. რა კარგია, რომ სარე ფირზეა არბეჭდილი. ხშირად ვხვდები სიყვარულით აღტკინებულ, არაჩვეულებრივად ქალურ ამარანტას, ან გამოუვალი მდგომარეობისგან მღელვარე ლიდა მატისოვას. მიტინგებზე კი შენს პლახას ვხედავ. ხშირად ვიხსენებ შენი გაიანეს სიცილს, რომელსაც დარბაისელი ნინო დავითაშვილის გვერდით თამაშობდი. მესმის მელიის კეკლუცი ინტონაციები "ჭინჭრაქადან", ან მარიამის ("გვადი ბიგვა") მელოდიური "გვადი-ი მუჭი რექი სქანი გოლუაფირო". შემიძლია უსასრულოდ გავიხსენო ჩვენი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლები. შენ ბედნიერი მსახიობი ხარ, ბედნიერი დედა, ბებია და დიდი ბებია! ამას წინათ გაზეთში წავიკითხე მაკას ინტერვიუ და განვცვიფრდი, რომ ჩვენი პეპიკი "ფილოსოფიის დოქტორიდან" არაჩვეულებრივად ჭკვიან, კეთილ და ღირსშესანიშნავ ქალბატონად იქცა. განა ეს არ არის ბედნიერება? შენს ყველაზე დიდი წარმატებაზე - თემურზე, არაფერს ვიტყვი. ამას წინათ, ჩვენი თეატრის ერთი მსახიობი გათხოვდა და ერთი თვის მერე გამოგვიცხადა, რომ მისთვის სცენაზე გამოსვლა აღარ შეიძლება. მე ვუთხარი, რომ შენ "ამერიკის ხმაში" რვა თვის ფეხმძიმე თამაშობდი და საწყალ გოგი გეგეჭკორს მიზანსცენის მიხედვით ორი სულის ხელში აყვანა უხდებოდა. მგონი ივიკოზე იყავი ფეხმძიმედ. ჩვენ ბევრს ვიცინოდით, როცა გოგის "გაჭირვებას" ვუყურებდით. ამბობენ, თეატრში ყოველთვისაა ჭორი, ინტრიგა, უსიამოვნება, წყენა. მაგრამ სად არ არის? შენ ეს არასოდეს არ გეხებოდა. ყოველთვის მთელ თეატრთან მეგობრობდი, არა მარტო პრემიერებთან, არამედ მასიური სცენების მსახიობებთანაც. შენ ყველას უყვარხარ, ეს ღვთიური მადლია... "მე შენ მიყვარხარ, ლამაზო... ".*

ვფიქრობ, ამ წერილში მედეა ჩახავაზე, როგორც ადამიანზე და პროფესიონალზე, ყველაფერია ნათქვამი. ზემოთ მოყვანილი დოკუმენტის გარდა, რუსთაველის თეატრის მუზეუმში კიდევ ბევრი რამ არის დაცული. იქ ინახება რამდენიმე საქაღალდე, რომლებშიც თავმოყრილია მედეა ჩახავას პირადი საქმეს, მისი ფოტოები, ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიები, რეცენზიები თუ ინტერვიუები, რაც კიდევ ერთხელ გამოგვადგება იმის დასტურად, თუ რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო მან. საამაყო მსახიობებთან პარტნიორობის გარდა, მას შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავა არაერთ რეჟისორთან, მათ შორის: დოდო ალექსიძესთან, რობერტ სტურუასთან, თემურ ჩხეიძესთან, არჩილ ჩხარტიშვილტან, აკაკი ვასაძესთან და ა.შ. თეატრალური შემოქმედებითი ცხოვრების პარალელურად ის აქტიურად მუშაობდა კინემატოგრაფში და ცხადია, არასოდეს დაგვავიწყდება, არც არავიში აგვერევა, მის მიერ განსახიერებული როლები ფილმებიდან "ბაშიაჩუკი", "ჭრიჭინა", "ნინო", "გლახის ნაამბობი", "მანანა" და სხვა.

1951 წელს მას სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა, 1955 წელს - საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება, 1960 წელს - საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, 1996 წელს - ღირსების ორდენი, 2006 წელს - საქართველოს სახელმწიფო პრემია (სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლ "აქ, ამ სავანეში" განსახიერებული როლისათვის). 2006 წელს კი რუსთაველის თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. ამ მსახიობს, რომელმაც ქართული თეატრის სცენაზე დაუვიწყარი სახეები შექმნა, ამ დარგის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და მემკვიდრეობად შთამომავალთა რამდენიმე თაობა დაგვიტოვა, ერთი დიდი სურვილი ჰქონდა... "*... და საერთოდ მინდა, რომ თეატრის გარეშე ვერც ერთი ქართველი ვერ სძლებდეს*", - ამბობდა მედეა ჩახავა.

## ქეთი დოლიძე თანამდებობიდან გათავისუფლებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქეთი დოლიძე კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უწოდებს. როგორც ქეთი დოლიძე აცხადებს, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მარჯანიშვილის თეატრში 27 სექტემბერს დაგეგმილ თეატრალურ ფესტივალს "თბილისი ინტერნეშენელს" უკავშირდება. დოლიძის განცხადებით, ის ფესტივალის საბჭოს "ხელისუფლების წევრებისაგან" დაკომპლექტებას შეეწინააღმდეგა. მისივე თქმით, ფესტივალის საბჭოს წევრი თავად თბილისის მერი გიგი უგულავაა.

"მაინტერესებს, საიდან მოიტანა ხელისუფლებამ ფესტივალის ჩატარებისათვის საჭირო 850 ათასი ლარი და რისთვის უხდიან ფესტივალის საბჭოს წევრებს თვეში 2000 ევროს. მე სწორედ ამის წინააღმდეგი წავედი და ეს არ მაპატიეს. მე არ მივიღებ ისეთ ფესტივალში მონაწილეობას, სადაც ფესტივალის საბჭოს წევრი თავად უგულავაა", - ამბობს ქეთი დოლიძე.

დოლიძე საკუთარი ინტერესების დაცვას სასამართლოში შეეცდება. მისივე თქმით, კონტრაქტის შეწყვეტამდე კულტურის მინისტრი ვალდებული იყო, განემარტა მისთვის თანამდებობიდან გათავისუფლების ზუსტი მიზეზები.

"ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიიღო სამინისტრომ აღნიშნული გადაწყვეტილება. ჩვენ ერთად გავდიოდით კონსულტაციებს თეატრის ახალ სეზონთან დაკავშირებით, რომელიც 10 სექტემბერს უნდა გახსნილიყო. ამჟამად შვებულებაში ვიმყოფები და ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო. ჩემს ადვოკატებს უკვე ვესაუბრე და მინისტრი ვალდებულია, განმიმარტოს რატომ შემიწყვიტა კონტრაქტი და დაარღვია ჩემი შრომის უფლება", - განაცხადა ქეთი დოლიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მეტეხი" "ჩაინა კონცერტ კომპანისთან" ერთად

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა ანსამბლ "მეტეხის" წარმომადგენელთა შეხვედრა პრესასთან.

ჩინეთში 6-თვიანი გრანდიოზული ტურნეს შემდეგ ქართველი მოცეკვავეები სამშობლოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ. ჩინურ საპროდუსერო კომპანიასთან, "ჩაინა კონცერტ კომპანისთან" გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში ანსამბლმა ჩინეთის ათამდე ქალაქი მოიარა და 385 კონცერტი გამართა. "მეტეხის" 22 კაციანი შემადგენლობა თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მუშაობდა ჩინელ ქორეოგრაფებთან ერთად, დაიდგა რამდენიმე ექსკლუზიური ცეკვა, მათ შორის "აღმოსავლური ფანტაზია," "მშვიდობის მტრედების ცეკვა," რომელსაც ანსაბლი სულხან ცინცაძის ქართულ სიმღერაზე ასრულებს.

გარდა ამისა, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა ანსამბლ "მეტეხის" ქართულ კლასიკურ და პოპურ რეპერტუარს, ცეკვებს - კოლხური სუიტა, მთიულური ვარიაციები, "ფარიკაობა", "ხანჯლური", "ცეკვა კოკებით", "ძველი თბილისის სურათები" და ა,შ. გარდა ამისა, კონტრაქტის ფარგლებში ქართულმა ანსამბლმა არაერთხელ იცეკვა ჩინურ თანამედროვე ბალეტთან ერთად, რომელსაც 80-კაციანი შემადგენლობა ჰყავს და ჩინეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

"ჩაინა კონცერტ კომპანისთან" ერთად ანსამბლი "მეტეხის" ხელძღვანელობა უახლოეს მომავალში ჩინეთში ქართული ცეკვის აკადემიის შექმნასაც გეგმავს. **24 საათი**

## მწერალთა კავშირისა და აჭარის არასამთავრობო ორგანიზაცია მთარგმნელობითი საქმის შესახებ

დღეს 13 საათზე კულტურის სამინისტოში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანადგომით, მწერალთა კავშირისა და აჭარის არასამთავრობო ორგანიზაცია "თარგმნის განვითარების ცენტრის" თაოსნობით გაიმართება დიალოგი თემაზე "თარგმანი და კულტურული ურთიერთობანი"

კულტურის სამინისტროს თანამშრომლები, ქართველი მწერლები, მთარგმნელები, მთავრობის წარმომადგენლები შეხვდებიან ამერიკელ სტუმრებს: ილინოისის შტატის უნივერსიტეტის თარგმნის ცენტრის "დელკიარქივპრესის" დირექტორს ჯონ ობრაიანს და ამერიკელ ქართველოლოგს რაიან შოსტილდს.

ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურული ტრადიციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ქართული მწერლობის გატანას მსოფლიო ბაზარზე. "დელქარქივპრესი" წელს საერთაშორისო მთარგმნელობითი ერთწლიანი საგარანტიო კონკურსი გამოცხადდა 4 მონაწილისათვის, თითოეული 18000 დოლარით დაფინანსდება. **24 საათი**

## პეტრე ალვარიძე - 100

10 სექტემბერს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი წარმოგვიდგენს საიუბილეო გამოფენას "პეტრე ალვარიძე".

გამოფენა ეძღვნება მხატვარ პეტრე ალვარიძის დაბადებიდან 100 წლისთავს. იგი დაიბადა ფოთში, თვითნასწავლი მხატვრის ოჯახში, 1909 წელს, სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგები იყვნენ: ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, შარლემანი და სხვ. მონაწილეობდა უამრავ გამოფენაში. პეტრე ალვარიძე 1935 წლიდან ექსპოზიციონერად მუშაობდა სხვადასხვა მუზეუმებში, ორმოციან წლებში, მოღვაწეობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში", მულტფილმების საამქროში მხატვარ-დეკორატორად, რაც იმ პერიოდში ქართული ანიმაციური ფილმის ფორმირებაში შეტანილი დიდი წვლილია. გამოფენა "ქარვასლაში" 18 სექტემბრამდე გაგრძელდება. **24 საათი**

# სანამ სულ ჩამონგრეულა, ანუ დეკორაციის მიღმა

სოფო კილასონია

*გუშინ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ეზოში პრესკონფერენცია ღია ცის ქვეშ, კარამიკოსებისა და მოქანდაკეების სახელოსნოების წინ გაიმართა. სამხატვრო აკადემიის კანცლერს, კახა ტრაპაიძესა და აკადემიის რექტორს, გია ბუღაძეს აქეთ-იქიდან სკულპტურული ეტიუდები ერტყათ გარს. აკადემიის ეზოს აქვს თავისებური ხიბლი, რასაც ნაგებობათა ბზარები და კედლების სიძველე ვერაფერს უხერხებს, ამ შემთხვევაში მთავარია განწყობა, სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში კი განწყობაც განსხვავებულია, მიუხედავად პირობებისა, დროისა და ხელოვნებისადმი დამოკიდებულებებისა. დამოკიდებულებებზე ბევრი რამ ითქვა, უფრო ბევრი რამ გაიფიქრეს, მაგრამ მთავარი აქ ის იყო, რომ პრესკონფერენციის ადგილი მისმა თემამ განაპირობა.*


სოფო კილასონიას ფოტო

რამდენიმე დღის წინ სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ქანდაკების მიმართულების შენობა ჩამოინგრა. ორსართულიანი, ნახევრად ჩამონგრეული ნაგებობა აკადემიის შენობის ერთ-ერთ ფლანგს წარმოადგენს. თუმცა, ძირითადი, ისტორიული შენობისგან განსხვავებით, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, დაზიანებული ნაგებობა საბჭოთა პერიოდში აიგო და როგორც ამბობენ, თავიდანვე უხარისხო იყო. ნაგებობის გამაგრებას აკადემიას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მთავრობა ჰპირდებოდა, მაგრამ ამაოდ... დღეს აკადემიის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს ჩამოაყალიბოს ქანდაკების მიმართულების განვითარების ფონდი და დახმარებისთვის საზოგადოებას, კონკრეტულად კი წარმატებულ ქართველ მოქანდაკეებსა და მხატვრებს მიმართოს. აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული ქართველი სკულპტორების რაოდენობა დიდია.

რაოდენობაში შეიძლება არ ცდებიან, თუმცა რამდენად იქნება ეს **რაოდენობა** მათი **დამოკიდებულების** პირდაპირ პროპორციული - ეს არ ვიცით. მით უფრო რომ დამოკიდებულებებში ძალიან გვიჭირს. საზოგადოებრივი ფასეულობების შექმნა-განსაზღვრისთვის წვლილი ჯერ არავის შეგვიტანია - არც საზოგადოებას და არც მისდამი ყველაზე პასუხისმგებელ ზესაზოგადოებას. ულტრა პოლიტიზირებულ ქვეყანაში კი რას, ანდა ვის წარმოდგენს ზესაზოგადოება ნათელია.

სახვით ხელოვნებას და კონკრეტულად ქანდაკების მიმართულებას დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება - ეს გახლდათ აკადემიის ეზოში გამართული შეხვედრის მთავარი გზავნილი. ამ გზავნილს უგზავნიდნენ არა ხელისუფლებას, არა სამინისტროს, არა მერიას, არც ეკონომიკის სამინისტროს, რომელსაც ფაქტობრივად აბარია სამხატვრო აკადემიის შენობა-ნაგებობანი, როგორც სახელმწიფო ქონება. შეტყობინება გაუგზავნეს საზოგადოებას. თუ ამ ამბავს ძალიან დიდი დისტანციიდან შევხედავთ, ამ საზოგადოების წევრია ყველა ზემოხსენებული, მაგრამ ამ დისტანციას არ განუსაზღვრავს აკადემიისთვის ადრესატი, უზრალოდ პრობლემა სხვაგან დაინახეს - თავად საზოგადოების ინერტულობაში, უკვე შემდგარი ხელოვანების ინერტულობაში. თუმცა ვის უფრო მეტად ეკისრება პასუხისმგებლობა და ვის უფრო მეტად მოეთხოვება სიფხიზლე, ამაზე შეიძლება უკვე ჩვენ ვიკამათოთ, ანდა ღია შეკითხვებად დავტოვოთ. ასე აჯობებს, რადგანაც ამ შეკითხვებზე პასუხის მიღება ძალიან რთულია. მით უფრო მაშინ, როცა ხელოვანთა უმრავლესობა თავად ვერ პოულობს გზას, რომ დარჩეს ხელოვნებაში და ამავდროულად იყოს სოციუმში აქტიური. მით უფრო, რომ ქართველმა ხელოვანებმა ხელოვნება ღია პოლიტიკურ თამაშებზე გაცვალეს. მაგრამ ამართლებს თუ არა ხელოვანთა ამ ერთი ნაწილის პროფესიული უპასუხისმგებლობა ცდომილებებს მმართველთა კულტურისადმი დამოკიდებულებებში, ეს უკვე არც ისე საკამათო საკითხია. მხარეთა უარყოფითის აწონ-დაწონვას აქამდე კარგი არავისთვის მოუტანია.

დამოკიდებულებების საკითხმა აშკარად შორს და სხვა მიმართულებით წამიყვანა. ეს მიმართულება უთუოდ სხვა არის, იმიტომ რომ ახალ პოლიტიკურ დინებებს აკიდებული ხელოვანების არც ერთ პროცესიაში მოქანდაკე კაცი არ შეგვინიშნავს. თუმცა კი რამდენიმე შეინიშნა კულისებში, მაგალითად თბილისელი პრომეთეს ავტორი. მას ვერ დავუკარგავთ პოზოციას (ეს პოზიცია პოლიტიკური არ იყო, თუმცა ეს არტისტული პოზიციაც ვერ გამოვიცანით). ესეც არაფერი, ამ პრომეთემ საქილიკო მიზეზი მისცა ხალხს და ეს უკვე საქმეა, ბოლოს და ბოლოს სულ პოლიტიკოსებზე ხომ არ ვიქილიკებთ... იმისთვის რომ პოტენციურ ოპონენტებს აქვე დავუძვრე, ვიტყვი იმასაც, რომ ვიცი და ვითვალისცინებ ორ ფენომენს ამ საკითხთან მიმართებაში: წერეთელს, მასზე ყოვლისშემძლე და მდიდარი ქართველი მოქანდაკე სხვა არ მაგონდება (რომელიც ძალიან ცდილობს პოლიტიკური აქცენტების დასმას საკუთარი ქმნილებებით, თუმცა აქცენტებში ცოტა "იბნევა") და სოცრეალისტური პერიოდის მონუმენტალისტების როლს. მაგრამ ამ მოვლენებს ერთი წინადადებით მოვიშორებ - დღეს ჩვენ ხელოვნებაზე ვსაუბრობთ და თანაც სოცრეალიზმის შემდგომზე.

ქართული სახვითი კულტურა იყო და არის უხმო, ხშირად და ერთი შეხედვით უპრეტენზიო. ქართული სახვითობა იყო ის, რამაც ყველაზე დიდი და რაოდენობრივად დიდძალი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მემკვიდრეობა არა ლოკალური სივრცისთვის მნიშვნელოვანი, არამედ ქრისტიანული კულტურის მასშტაბით. ალბათ მკითხავთ, რაც იყო იყო და დღეს რას გვიტოვებსო, რისთვის უნდა ვხარჯოთ ფული, ენერგია და დრო? მკითხავთ და ვერაფერს ხელმოსაჭირს ვერ გიპასუხებთ, იმიტომ არა რომ მართლაც არაფერს ტოვებს, იმიტომ რომ მეც არ ვიცი კარგად, დაახლოებით ისე როგორც თქვენ და მთელმა საქართველომ. ამას ნახვა უნდა, შექმნა, შემქნილის ნახვასა და ანალიზს - ადგილი, გარემო, სივრცე, განწყობაც კი... ასეთი არც ადგილია საქართველოში და არც გარემო... და რა ძალიანაც არ უნდა მივხედოთ მუზეუმებს, იქ შეიძლება დაკონსერვდეს ხელოვნება, მაგრამ ის იქ ვერ იცოცხლებს და მით უფრო ვერ გაცოცხლდება.

აღარ გავაგრძელებ თემას იმის შესახებ რომ ჩვენ არ გვაქვს თანამედროვე ხელოვნებაზე ორიენტირებული ცენტრი, ჯერ არ გვაქვს გალერეა, არა სურათების კოლექციათა სამუზეუმო სივრცე, მაღალი დონის არტის, უკვე აღიარებული კოლექციების საექსპოზიციო ადგილი, არამედ თანამედროვე, სამუშაო პროცესში არსებული ხელოვნების გალერეა. არ გვაქვს არც ამ ხელოვნების მყისიერი გაკულტების და ფასეულობად ქცევის ორგანიზმი - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. თუმცა, ჩვენი აზრით, მუზეუმის შენება ამ კიბის ბოლო საფეხური უნდა იყოს, მუზეუმი ხომ უკვე ანალიზის შედეგია. არ გვაქვს ეს ყველაფერი იმიტომ, რომ არ გვაქვს ამის ფინანსური საშუალებები. ეს ჩვენთვის ფუფუნებაა, რის უფლებასაც თავს ჯერ ვერ ვაძლევთ. ეს გასაგებია და სიცხადე ნაკლებად მტკივნეულს ხდის საკითხს, მაგრამ მტკივნეულიც არის რაღაც: ეჭვი, - როცა ფული გვექნება, როცა იბერია გაბრწყინდება, არ აღმოჩნდეს ისე, რომ ამ ყველაფრის შესაქმნელად არ გვაქვს შეგნება, სურვილი - შესაბამისი დამოკიდებულება. ამ ყველაფრის დეფიციტს ხვალ აუცილებლად აღმოვაჩენთ. ხვალ ეს მოხდება, იმიტომ რომ დღეს ჩვენ კულტურის სიყვარული და მისი განვითარება გვგონია ერთი მხრივ კონცერტები ცოცხალი და მკვდარი შესრულებით, ფესტივალები, რაც შეიძლება ბევრი, ჯგუფური გამოფენები (ათასგზის ცნობადი ნამუშევრებითა და ავტორებით), და მეორე მხრივ კულტურა არის შთამბეჭდავი ძალა ახლად ჩამოყალიბებული ოპოზიციური პარტიისთვის. ეს ქართული კულტურაც ჯერ ისევ საბჭოთა ნიადაგის ქანებს სწვდება და ამიტომ ერთნაირი წყურვილით ეწაფება ყველაფერს, რაც აღლუმსა და დიდ პარტიას აგონებს. ჩვენთვის კულტურა მხოლოდ ანტურაჟია, აქსესუარი, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკურ აქტს დამშვენიერებს. დააკვირდით, ეს დეკორაციაც თუ მხოლოდ ქართული წარმოშობისაა, დროთა განმავლობაში როგორ კარგავს ხარისხს, ხუნდება, "გვეგოიმება" და ეს არ გვეჩვენება. სულ ცოტა ხნით მაინც არ ვუფიქრდებით როგორ მოდის ეს ხელოვნება დეფილემდე, სანამ დეკორაციად იქცევა. სადღაც ხომ იძერწება, სადღაც ფორმას იძენს, სადღაც მზადდება? ბოლოს და ბოლოს ხომ კარგაც ვიცით, რომ გუშინ გამომცხვარი ქართველი საესტრადო მომღერალი, თუნდაც ძალიან საამური გარეგნობით, თუნდაც ისეთი, რომელიც თავად გავს ხელოვნების ნიმუშს, კულტურა მაინც არაა. ის ხელოვნებას არ ქმნის. თუნდაც რომელიმე პრიალა ჟურნალში ჩანდეს, ან ქართულ ტელეგადაცემებში წლების განმავლობაში იპატიჟებდნენ, ანდა დავუშვათ სასწაული - რომელიმე სამინისტროსთანაც კი გახდეს ასოცირებული, - მაინც ვერა. ძალიან კარგად ვიცით, რომ ქართული კულტურა სხვაგან იქმნება, მაგრამ "ამ სხვაგან" ჩვენ ყველაზე ბოლოს თუ შევიხედებით. ალბათ მაშინ, როცა მომავალი ხელოვანების სახელოსნოებში რაღაცას ხმამაღლა იტყვიან. ეს წამი ჯერ არ დამდგარა. გუშინ პრესკონფერენციაზე ერთი რამ ნამდვილად გამიკვირდა, ქანდაკების პედაგოგებმა შეკითხვას - რატომ მერიას ანდა სამინისტროს არ სთხოვთ დახმარებას? უპასუხეს: მათ ბიუჯეტი გაუნახევრესო, უჭირთო... მათ მგონი გულწრფელად მოერიდათ ვინმესგან რამის მოთხოვნა, დახმარებას ისევ ერთმანეთს სთხოვენ. დაახლოებით ასეა სხვა სახელოვნებო უნივერსიტეტებშიც. თუ თეატრალურს ჭერი თავზე არ ენგრევა, სამაგიეროდ სხვა უთვალავი პრობლემა აქვს და ამ პრობლემებს უკვე თეატრებში ვხედავთ. თუ გავითვალისწინებთ რაოდენ უმძიმესია მდგომარეობა საქართველოში განათლების მიმართულებით, შეიძლება გავბედოთ და ვთქვათ: ვისი ბიუჯეტიც არ უნდა განახევრებულიყო, სასწავლებლებს ყველაზე ბოლოს უნდა შეხებოდა ეკონომიკური კრიზისი.

როცა საზოგადოება, მთელი თავისი განშტოებებით, უფროსუმცროსით სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების სახელოსნოებში არ ვიხედებით, როცა თუნდაც მედიასაზოგადოება პრესკონფერენციებით ვიკვებებით და ვკმაყოფილდებით, როცა ჩვენი ხელოვანები თვითრეალიზაციის საუკეთესო სცენად ჩვენი დროის განმანათლებლის საკანს მიიჩნევენ და ეს არც მათ და არც ჩვენ არ გვაწუხებს, როცა სპეციფიკურ სფეროებს სულ სხვა განათლებისა და ინტერესების ადამიანებს ვაბარებთ, როცა ყველა ექსპერტობას ვიბრალებთ, ყურმოკრულს ვურჩევთ ერთმანეთს, მაშინ ნუღარც პრომეთეს ავტორზე ვიქილიკებთ და ნუღარც ზოგადად თანამედროვე ხელოვნებას დავაბრალებთ ბედოვლათობას...

სანამ მთლიანად ჩამონგრეულა ყველაფერი, ჯერ კიდევ შეიძლება საძირკვლისა და კედლების გამაგრება. დილეტანტმაც კი იცის, რომ სულ მთლად დანგრეულის აშენება ბევრად ძვირი ღირს და ამას ბევრად დიდი დრო სჭირდება, ხანდახან საუკუნეებიც კი...

# სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში

## *ივლისი - აგვისტო, 2009*



## მთავარი სიახლეები

- საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ოლიმპიადებიდან მედლებით დაბრუნდა;
- 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა;
- საზაფხულო ბანაკების მონაწილე 1 000 მოსწავლიდან ყველაზე წარმატებული 54 მოსწავლე ლონდონში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე გაემგზავრა;
- ამიერიდან პედაგოგობის მსურველებს სკოლებში მაძიებლებად მუშაობის დაწყება შეეძლებათ.

*ზოგადი განათლება*

### საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ოლიმპიადებიდან მედლებით დაბრუნდა

საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებზე საქართველოს ეროვნული ნაკრების 13 -მა მოსწავლემ 4 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**მათემატიკის** 50-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე გერმანიის ქ. ბრემენში, საქართველოს ეროვნული ნაკრების 6 წევრი მონაწილეობდა. სამმა მათგანმა (ბექა ერგემლიძემ - დემირელის სახ. კერძო კოლეჯი XII კლ.; ლაშა ლაკირბაიამ - თბილისის 199-ე საჯარო სკოლა (პანსიონი "კომაროვი") XIკლ.; ნიკა მაჭავარიანმა - დემირელის სახ. კერძო კოლეჯი XII კლ.) ვერცხლის, ორმა კი (ლევან ვარამაშვილმა - დემირელის სახ. კერძო კოლეჯი XII კლ. და ლაშა ფერაძემ - თბილისის 199-ე საჯარო სკოლა (პანსიონი "კომაროვი") XI კლ.) - ბრინჯაოს მედალი აიღო. საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ეროვნული ნაკრების ყველაზე პატარა წევრი ცოტნე ტაბიძე (ქ. ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა X კლ.).

მექსიკის ქ. მერიდაში გამართულ **ფიზიკის** მე-40 საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადიდან საქართველოს ნაკრები გუნდი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თბილისის 199-ე საჯარო სკოლის (პანსიონი "კომაროვი") კურსდამთავრებულმა შოთა გარუჩავამ.

**ინფორმატიკის** 21-ე საერთაშორისო ოლიმპიადა ბულგარეთის ქ. პლოვდივში გაიმართა.

ეროვნული ნაკრების წევრებმა ერთი ვერცხლის (ცოტნე ტაბიძე - ქ. ქუთაისის 41 -ე საჯარო სკოლა X კლ.) და სამი ბრინჯაოს (ზურაბ კუცია - თბილისის 24-ე საჯარო სკოლა XII კლ.; ლევან ვარამაშვილი - დემირელის სახ. კერძო კოლეჯი XII კლ.; მარიამ კობიაშვილი - დემირელის სახ. კერძო კოლეჯი XI კლ.) მედალი მოიპოვა.
საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან: ვერცხლის მედლის მფლობელი - 3000 ლარით; ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი - 2 000 ლარით.

### საზაფხულო ბანაკების მონაწილე 1 000 მოსწავლიდან ყველაზე წარმატებული 54 მოსწავლე ლონდონში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე გაემგზავრა

წელს პირველად, საქართველოს მასშტაბით,"ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების" პროგრამის ფარგლებში, ენის საზაფხულო სკოლები სამ ნაკადად მასპინძლობდა მე-8, მე-9, მე-10 და მე-11-კლასელ 1000 მოსწავლეს, რომლებმაც ეროვნულ და საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადებსა თუ სხვა კონკურსებში გაიმარჯვეს. ლონდონში, უცკსწოოდ - ის საზაფხულო სკოლაში ორკვირიან ენის კურსებზე სწორედ ის საუკეთესო მოსწავლეები გაემგზავრნენ, რომლებმაც საქართველოს საზაფხულო სკოლებში (წყნეთი, ბაკურიანი, წყალტუბო) სწავლისას ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენეს.

### აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში ხელშეკრულება გაფორმდა

შეთანხმებას ხელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა მოაწერეს.
შეთანხმების მიზანია ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ წრეებს შორის ურთიერთობების გაღრმავება; მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ერთობლივი სამეცნიერო პროექტების და კვლევების განხორციელება და სხვ.
შეთანხმების ფარგლებში, ორი ქვეყნის სახელმწიფო უწყებებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის პირდაპირი კონტაქტები გაღრმავდება; ჩატარდება ერთობლივი სამეცნიერო სემინარები, კონფერენციები.
წელს პირველად, მას შემდეგ, რაც 2009 წელს ხელი მოეწერა "აშშ-საქართველოს ქარტიას", განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა. აშშ-საქართველოს ქარტიიდან გამომდინარე, იგეგმება თანამშრომლობის გაღრმავება არა მარტო მეცნიერების, არამედ უმაღლესი და სასკოლო განათლების მიმართულებით.

*კონფერენციები/სემინარები*

### ამიერიდან, პედაგოგობის მსურველებს სკოლებში მაძიებლებად მუშაობის დაწყება შეეძლებათ

დამწყებ პედაგოგებს ერთწლიანი პრაქტიკის მანძილზე მენტორ-მასწავლებლები უხელმძღვანელებენ. ევროსაბჭოს პროგრამა „პესტალოცის" დაფინანსებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა დამწყები მასწავლებლებისთვის მენტორ-მაძიებლობის თემაზე სემინარი გამართა. სემინარის მიზანი იყო მენტორ-მაძიებლობის ინსტიტუტის პილოტირების ფაზაში გამოკვეთილი ტენდენციების, გამოწვევების ანალიზი, მენტორის ფუნქციების და ვალდებულებების, მენტორთა სახელმძღვანელოს განხილვა და შეფასება.
ახალი სასწავლო წლიდან, საქართველოს 300-მდე საჯარო სკოლაში 30 გამოცდილი პედაგოგი მენტორობას გაუწევს 60-მდე მაძიებელს.
გასულ წელს მენტორ-მაძიებლობის საპილოტე პროექტში 24 საჯარო სკოლა, 28 მენტორი და 48 მაძიებელი იყო ჩართული.

*უმაღლესი განათლება*

### 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2 ივლისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია თავად დაესწრო "სახალხო ბანკის" გლდანის ფილიალიდან საგამოცდო ტესტების აგრარული უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში მიტანის პროცესს. ტესტების ტრანსპორტირება საპატრულო პოლიციისა და უშიშროების სამსახურის თანხლებით განხორციელდა.
2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებში 28 948 აბიტურიენტმა მიიღო მონაწილეობა. მათგან 23 285 სტუდენტი გახდა, აქედან 21 182 ბაკალავრიატის, 2 103 – უმაღლესი პროფესიული პროგრამების.
ზოგადი უნარების გამოცდის მიხედვით, საბაკალავრო პროგრამებზე სახელმწიფო გრანტით 100%-იანი გრანტით 1003 სტუდენტი დაფინანსდა, 70%-იანი გრანტით 1384 სტუდენტი, 50%-იანით - 2102, ხოლო 30%-იანი სახელმწიფო გრანტი - 3489 სტუდენტმა მიიღო.
უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე 38-მა სტუდენტმა 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა, 50-მა სტუდენტმა 70%-იანი გრანტი, 90 სტუდენტმა - 50%-იანი გრანტი, ხოლო 271 სტუდენტი - 30%-იანი გრანტით დაფინანსდა.
ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდა საგამოცდო ცენტრებში შემდეგ ქალაქებში: თბილისი, თელავი, სიღნაღი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, ფოთი, ზუგდიდი, ბათუმი, ხულო.
საგამოცდო პროცესში ჩართული იყო 1 100 მეთვალყურე და კურატორი.
მიმდინარე წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში 7 მსჯავრდებული და 2 უსინათლო იღებდა მონაწილეობას. აქედან 4 მსჯავრდებული საბაკალავრო პროგრამებზე ჩაირიცხა, ხოლო 2 - უმაღლეს პროფესიულზე. ორივე უსინათლო აბიტურიენტი სტუდენტი გახდა.
გამოცდის გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წელს 26 ქულით განისაზღვრა, გარდა უცხოური ენებისა, სადაც ზღვარი 21 ქულას შეადგენდა. 4000 აბიტურიენტმა მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა. გამოცდიდან არ მოხსნილა არც ერთი აბიტურიენტი. 800 სააპელაციო განაცხადი განიხილა სააპელაციო კომისიამ, რომელთაგან დაახლოებით 20% დაკმაყოფილდა.

### საერთო სამაგისტრო გამოცდა წელს პირველად გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა

გამოცდაზე 5 444 სტუდენტი დარეგისტრირდა, აქედან 4 560 მაგისტრობის კანდიდატმა საერთო სამაგისტრო გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge



დავით კოვზირიძის სვეტი

# მთის მუღამი

ფეხბურთი რამდენადაც მაგარი რამეა, იმდენად მურტალიც შეიძლება იყოს. გეფერება, გეფერება, გეფერება და უცბად ფეხს დაგიდებს, ძალიან გატკენს, გაწყენინებს. ის ცხოვრებასავითაა და ფეხბურთელისთვის ფეხბურთი ხომ ცხოვრებაა და სხვა არაფერი.

იმან, რაც შაბათს მოხდა, ყველაზე მაგრად კალაძეს გაუხეთქა გული. აქამდე ის იყო ფეხბურთელი, რომელსაც ორი ჩემპიონთა თასით იხსენებდნენ, ამიერიდან კი იმ ორი გოლით გაიხსენებენ. უნდა კახას ეს თუ არა, ასე იქნება. ასეთია ფეხბურთის, ანუ მისი ცხოვრების კანონი. მესმის, ძალიან მძიმეა, მაგრამ ამას ველარავინ შეცვლის. თუმცა ის, რაც შაბათსვე მოხდა ამ ორი ავტოგოლის შემდეგ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ცოტა წავიველურებთ. ეს ვიგრძენი სტადიონზე და ეს ვიგრძენი მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

ყველა ქვეყანაში თავისებური გულშემატკივრობა იციან - ხმაურიანი, მხიარული, კლასიკური, აგრესიული, თბილი, ზედმეტად მომთხოვნი. ყველგან სხვადასხვაგვარი პულსაცია, განსხვავებული კულტურა და ემოციების გამოხატვის ფორმა არსებობს. არსად ერთნაირად არ იგინებიან, არ ჩხუბობენ, არ უხარიათ. მაგრამ ასეთი აგრესია და ზიზლი? თან სხვისი კი არა, შენიანის? შენი გუნდის კაპიტნის?

საქართველოში გულშემატკივრობის, ქომაგობის, ფანობის ტრადიცია არ არსებობს. ვერც იარსებებს, რადგან ქართული ფეხბურთი ჯერ ოცი წლისაა და თან კარგიც არაფერი უნახავს. ძველი "დინამო" და მუდმივად სავსე სტადიონი? კი ბატონო, ასე იყო, მაგრამ ეს იყო საბჭოთა ფეხბურთი საბჭოთა კავშირში, სხვა სისტემა, სხვა ქვეყანა, სხვა სიტუაცია, რომელშიც ქართველ ქომაგს, დიდი-დიდი, "დინამო, დინამოს" ყვირილი შეეძლო. წარმოიდგინეთ, მაშინ რომ ვინმეს ტრიბუნაზე ეცეკვა, ან ტრანსპარანტი გაეშალა, ან გვერდით მჯდომი კაგებეშნიკისთვის რამე არასწორად ეთქვა. ანუ - ჩვენ თითქმის ნახევარი საუკუნე გაშეშებულები ვისხედით ბინძურ სკამებზე დაფენილ გაზეთებზე, მზესუმზირას მივირთმევდით, ხანდახან რაღაცას დავიყვირებდით, ტაშს დავუკრავდით, ერთიორს შევიგინებდით და ეგ იყო რა.

და რამე შეიცვალა? ჰიმნი ერთი-ორჯერ ვიმღერეთ, ტრანსპარანტებიც ჩნდებოდა მეჩხერად, რაღაც ახალი შეძახილების და მდგომარეობის გაფერადების მცდელობაც იყო, მაგრამ "სემიჩკის" მდუმარე კნატუნის ეპოქას ვერაფრით დავაღწიეთ თავი. სტადიონზე მისულთა უმეტესობის განწყობა ასეთია - დაბოლმილი მივალ, ცოტას შევჭამ, წაგვივა თამაში, ტაშს დავცხებ, არ წაგვივა და სკამებს დავამტვრევ (იმ სკამებს, რომელზეც სულ ვოცნებობდი), ვაგინებ ქართველ ფეხბურთელებს, თუ გამიმართლა, ვინმეს ვეჩხუბები, მოედანზე რამეს ვისვრი, რამეს მაინც გავაფუჭებ და კაი ხოშიანი განტვირთვაც გამომივა.

ეს ჩასაფრებული განწყობა მოედანზე ძალიან კარგად იგრძნობა. ვისაც ფეხბურთი უთამაშია, მიხვდება, რასაც ვგულისხმობ. იგრძნობა და გუნდი, რომელსაც ისედაც უამრავი პრობლემა აქვს, კიდევ უფრო იძაბება, ხოლო დაძაბული კაცი ფეხბურთს ვერ ითამაშებს.

ისევ კალაძეს მინდა დავუბრუნდე. მას, როგორც სპორტსმენს, ტრაგედია შეემთხვა და ამ ამბის დასავიწყებლად დიდი დრო და ენერგია დასჭირდება. თუმცა საკუთარი გულშემატკივრების გამხნევებისა და სიყვარულის ნაცვლად მყრალი გინება და სტვენა მიიღო. მას ბოლომდე წიხლი მიაჭირეს და საშუალება რომ მიგეცა, შეიძლება ქვებითაც ჩაექოლათ კაცი - ყველაზე ტიტულოვანი ქართული ფეხბურთის ისტორიაში. კალაძისთვის ძალიან ძნელი იქნება ეროვნულ სტადიონზე მომდევნო გასვლა არა იმიტომ, რომ ორი გოლი გაიტანა საკუთარ კარში, არამედ იმიტომ, რომ ამისთვის ანათემას გადასცეს.

მაგრამ ამ ამბავს მეორე მხარეც აქვს - მუღამი. მუღამი იმის, რომ ის უნებლიე შეცდომები საქმით გამოასწოროს და სტადიონი, რომელმაც უსამართლოდ, ამაზრზენად გაასწორა მიწასთან, ერთ მშვენიერ დღეს ფეხზე წამოაყენოს და ოვაცია მოაწყობინოს. მე თუ მკითხავთ, მისი, ფეხბურთში ბევრის მნახველი კაცის მთავარი მიზანი ეს უნდა გახდეს. კალაძემ დღეიდან ყველაფერი უნდა გააკეთოს ამისთვის. ის კიდევ ერთხელ უნდა ავიდეს მწვერვალზე, რომელზე ყოფნის სიამოვნებაც ნაგრძნობი აქვს და რომლის ძირშიც დღეს დგას. ეს შეიძლება სამტრედიიდან "მილანში" მოხვედრაზე ბევრად რთული იყოს, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის...

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ერევანში "დინამო" ჩავიდა "არარატთან" სათამაშოდ და მთელი სტადიონი საათნახევრის განმავლობაში "დინამოს" ყვიროდა. სტადიონი სხვანაირი ადგილია. სტადიონი გარემოს აკუმულატორია და გარემოს შესაბამის ენერგიას გამოსცემს. ეს არის სარკე, რომელიც ყველაფერს ირეკლავს, რაც სტადიონის გარშემო ხდება.

*მომავალ სამშაბათამდე*

# საქართველოს ნაკრებს მალტამ წყალი აუმღვრია

ბიბა ბურასაშვილი

*წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა პოლონეთთან და დიდ ბრიტანეთტან გამარჯვებებს მალტის ნაკრებთან წაგება მიაყოლა. საქართველოსა და მალტის გუშინდელი შეხვედრა იმითაც იყო მნიშვნელოვანი ერთმანეთს B ჯგუფის წაუგებელი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ მათ შორის მოწინავე და შესაბამისად, ჯგუფის ლიდერი საქართველოს უმთავრესი გუნდი იყო.*



*ქართველ წყალბურთელებს ჯგუფის მოწინავე სამეულში მოსახვედრად ერთი გამარჯვება აშორებთ*

მაისში, როდესაც მალტა ევროპის B დივიზიონის საკვალიფიკაციო შეხვედრებს მასპინძლობდა, ფინეთტან და ირლანდიასთან მოგებული შეხვედრების შემდეგ, საქართველო სწორედ მასპინძლებთან დამარცხდა, ამასთან დიდი ანგარიშით. ეგაა, მაშინდელი წაგებით წყალბურთის ქართველ გულშემატკივარს დიდად არ დასწყვეტია გული, რადგან ჩვენს ნაკრებს ისედაც გარანტირებული ჰქონდა დასკვნით ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება. ერთადერთი, რაც ვლადიმერ ისელიძეს გუნდს მალტასთან შეხვედრაში ამოძრავებდა ეს რევანში იყო. რევანში კი არ შედგა. ლუგანოში (შვეიცარია) მიმდინარე B დივიზიონის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მალტასთან წლეულს უკვე მეორედ დამარცხდა - 10:12 და იმავდროულად ჯგუფის ლიდერობაც დაკარგა.

საქართველოს უმთავრესი გუნდი მეტოქეებს ანგარიშში პირველსავე მეოთხედში ჩამორჩა და არათუ გადასწრება, წამოწევაც კი მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხა. საწყისი მეოთხედი 3:6 დასრულდა. მეორეში ისელიძის შეგირდებმა სხვაობა ოდნავ შეამცირეს - 5:7, მაგრამ შესვენების შემდეგ, კუნძულელები ისევ გააქტიურდნენ და დასკვნითი პერიოდის წინ 10:7 დაწინაურდნენ. დარჩენილ დროში ქართველებმა ისღა მოახერხეს, სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირეს.

როგორც არ უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებს ერთი მოგებაღა სჭირდება იმისთვის, რომ ჯგუფიდან გამსვლელ საუკეთესო სამეულში დაიკავოს ადგილი. იქამდე კი ჰოლანდიისა და მასპინძელი შვეიცარიის დამარცხებაა საჭირო.

საქართველოს ნაკრებს დღეს სწორედ ჰოლანდიელებთან უწევთ გაჯიბრება, ხვალ კი შვეიცარიელებთან. მერე კი მეოთხედფინალების, ნახევარფინალებისა და ფინალის ჯერიც დადგება.

**ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი**

**საქართველო-მალტა 10:12 (3:6, 2:1, 2:3, 3:2)**

# ბარიკელოს მონცაზე კარგი გამოსვლის იმედი აქვს

რუბენს ბარიკელოს მიაჩნია, რომ იტალიის დიდ პრიზზე, "ბრაუნი" მეტოქე "რედ ბულზე" უკეთ იასპარეზებს. ამის იმედს კი მას ის გარემოება აძლევს, რომ მონცას ავტოდრომის მსგავი პარამეტრების მქონე სპა ფრანკორშანზე, ავსტრიული საჯინიბოს პილოტები - მარკ უებერი და სებასტიან ფეტელი სისწრაფით არ გამოირჩეოდნენ.

არადა, ყველა ელოდა, რომ სპაზე "რედ ბულის" პილოტებს კონკურენციას ვერავინ გაუწევდა. მაგრამ უებერმა ეს რბოლა უქულოდ დაასრულა, ფეტელმა კი გაჭირვებით შეძლო კვარცხლბეკის მესამე საფეხურის დაკავება. რუბინიოს ოპტიმიზმს კი ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მისი აზრით, "ბრაუნის" BGP 001 მონცას ზორბა ბორდიურებს უკეთ აიტანს, ვიდრე "რედ ბულის" RB5.

"ადრე ასეთი უხეში ბორდიურები მხოლოდ ორ ტრასაზე - მონცასა და ჰოკენჰაიმზე იყო. ამ სეზონში კი მხოლოდ მონცაზე იქნება. ჩვენი მანქანები კარგად ეგუება მათზე გავლას, რაც რბოლის დროს აუცილებლად გამოგვადგება. თეორიულად, ჩვენ არ უნდა გაგვიჭირდეს "რედ ბულების" ჯობნა. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ბელგიაში ლამის "ფორს ინდიამ" მოიგო. ასე რომ, სიურპრიზები ყოველ ფეხის ნაბიჯზეა მოსალოდნელი. საერთოდ, ეს სეზონი სიურპრიზებითაა აღსავსე", - ამბობს ბარიკელო, ვისაც ჩემპიონატში მეორე ადგილი უკავია და ლიდერი, ბრიტნელი თანაგუნდელი ჯენსონ ბატონი 16 ქულას უგებს.

ბოლო ხუთი რბოლაა, ბარიკელო ბატონზე უკეთ ასპარეზობს და მართალია, მასზე ხუთით ნაკლები გამარჯვება აქვს მოპოვებული, მაინც იმედს არ კარგავს და დარწმუნებულია,რომ უზარმაზარი გამოცდილება, ტიტულისთვის ბრძოლაში დაეხმარება.

"კარგია, რომ ტიტულისთვის ბრძოლა იძაბება. პრესინგი პილოტის თავში იბადება და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, შესძლებს თუ არა მასთან გამკლავებას. მსგავსი რამ გოლფშიც ხდება ხოლმე. მაგალითად, მეტოქესთან ქულა-ქულაში მიდიხარ. ამ დროს ნერვიულობას იწყებ. მაგრამ ეს რომ ვარჯიშზე ხდებოდეს, არ ინერვიულებ. ჰოდა, შეჯიბრის დროსაც უნდა წარმოიდგინო, რომ ვარჯიშზე ხარ და ყველაფერი კარგად გამოვა. მეც ვცდილობ, ასე მოვიქცე. ვფიქრობ, ბელგიაში ცუდად არ მიასპარეზია - უამრავი პრობლემის მიუხედავად, ორი ქულა მაინც ავიღე. სიჩქარის მიხედვით, სპაზე კვარცხლბეკზე ასვლა შემეძლო, ჩემს თანაგუნდელს კი რვიანში რბოლის დასრულება ნებისმიერ შემთხვევაში გაუჭირდებოდა. ზეწოლა ყოველთვის არსებობს, ის სპორტის ნაწილია, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ - მე ხომ დიდი ხანია, რაც ფორმულა 1-ში გამოვდივარ", - ამბობს ბარიკელო.

ბრაზილიელი დასძენს, რომ ჩემპიონობის ასეთი კარგი შანსი "ფერარიში" ყოფნისას არასდროს ჰქონია, რადგან იქ მეორე ნომრად იყო გამწესებული და მიხაელ შუმახერის ინტერესების დასასაცავად უწევდა ასპარეზობა.

"შემიძლია ვთქვა, რომ "ბრაუნში" ჩემპიონობის გაცილებით მეტი შანსი მაქვს. გუნდს არ აქვს იმის ფუფუნების საშუალება, რომ მხოლოდ ერთ პილოტს დაუჭიროს მხარი,რადგან "რედ ბული" ჩვენგან ახლოსაა. ასე რომ, ორივეს თანაბრად გვემსახურებიან, რაც მე ძალიან მომწონს", - დასძენს რუბინიო.

*მერაბ ლორთქიფანიძე*
*http://formula1ge.blogspot.com*

# ვალენტინო როსის "ფერარიში" გადასვლის შანსი ჰქონდა

წრიული მოტორბოლების იტალიელმა სუპერვარსკვლავმა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ განაცხადა, რომ მას მონცაზე "ფერარის" ბოლიდით ასპარეზობის რეალური შანსი ჰქონდა. ის ამბობს, რომ ლუკა ბადოერის შეცვლა შეეძლო, მაგრამ იმის გამო, რომ ტესტები აკრძალულია, მას კი კისრის კუნთები სათანადოდ არა აქვს განვითარებული, ამ ავანტიურისგან თავის შეკავება ამჯობინა. თანაც, ის მოტო GP-ს მორიგი ტიტულისთვის იბრძვის და ყურადღების გაფანტვა არ ისურვა.



*GP-ს მორიგი ტიტულისთვის მებრძოლმა ვალენტინო როსიმ ყურადღების გაფანტვა არ ისურვა*

"დომენიკალის ("ფერარის" შეფს) ვესაუბრე. ორი პრობლემა გამოვყავით. ჯერ ერთი, არ ვიცი, გაუძლებს თუ არა სერიოზულ დატვირთვას ჩემი კისრის კუნთები. არ არის გამორიცხული, რომ რბოლის დასრულებაც კი ვერ შევძლო. მართალია, სხვა ტრასებთან შედარებით, მონცაზე ნაკლები დატვირთვაა, მაგრამ მიუჩვეველი ადამიანისთვის, თუნდაც სპორტსმენისთვის, მისი გაძლება მაინც ძალიან ძნელი იქნება. მეორეც, მოტო GP-ს ტიტულისთვის ვიბრძვი და ფორმულა 1-ის რბოლაში გამოსვლა ყურადღებას გამიფანტავდა".

"ფორმულა" 1-ის რბოლებში სერიოზული მომზადების გარეშე ასპარეზობას აზრი არა აქვს. მეტიც, ეს ძალიან საშიშია არა მარტო გამოუცდელი პილოტისთვის, არამედ დანარჩენებისთვისაც. მართალია, თავისუფალ ტესტებზე გარკვეული გამოცდილების მიღება შესაძლებელია, მაგრამ ასე მანქანის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოყენება პრაქტიკულად გამორიცხულია. უამისოდ კი რბოლაში მონაწილეობას აზრი არა აქვს", - ამბობს როსი.

*მერაბ ლორთქიფანიძე*
*http://formula1ge.blogspot.com*

ბეტონშემრევი:
BMC PRO 935 FTE 8X4
მიწოდების ვადა
1 დღე
BMC
ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი:BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20
(Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი:
LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი. დ. ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)

## განცხადება

ცხადდება ღია კონკურსი სსიპ- მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ ადგილებზე:

ა)მეცხოველეობის განყოფილება:
- განყოფილების გამგე - 1 საშტატო ერთეული
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

ბ)ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების განყოფილება:
- განყოფილების გამგე- 1 საშტატო ერთეული(ნიადაგმცოდნეობა)
- მთ. მეცნიერ თანამშრომელი- 1 საშტატო ერთეული

გ)საკვებწარმოების განყოფილება:
- განყოფილების გამგე - 1 საშტატო ერთეული
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) შრომის წიგნაკის ასლი;
დ) უმაღლესი განათლების დიპლომას ასლი;
ე) აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ვ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო გრანტების, პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
ზ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს
თ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, მისამართი), (სასურველია).

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.

ტელ: 51-69-20; 51-61-80; ელ. ფოსტა: tengotezi@rambler.ru პასუხისმგებელი პირი: მარინე ყურაშვილი

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა პრესაში განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვე.

## საკონკურსო განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების მელიორაციის განყოფილება:
ა/ განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ( 1,0 განაკვეთი )
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ადგილი - 1,0 განაკვეთი)
გ) მეცნიერ თანამშრომელი (4 ადგილი - 1,0 განაკვეთი)

2. მცენარეთა კვების დიაგნოსტიკისა და აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების განყოფილება:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ( 2 ადგილი - 1,0 განაკვეთი)
ბ) მეცნიერ თანამშრომელი ( 2 ადგილი - 1,0 განაკვეთი)
( 2 ადგილი - 0,5 განაკვეთი)

საბუთების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

მისამართი 0125, თბილისი, (ზაჰესი)

ტელ: 65-67-50; 65-67-51.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ზემოთ ხსენებულ მისამართზე

---

სს "ტაოპრივატბანკი" აცხადებს ტენდერს სასმელი წყლით ბანკის სათაო ოფისისა და სერვის ცენტრების (ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე არსებული 56 სერვის ცენტრის) მომარაგებასთან დაკავშირებით. საჭირო წყლის ოდენობა საშუალოდ ყოველთვიურად შეადგენს 22 000 ლიტრს. ტენდერში მონაწილე კომპანიისათვის სს "ტაოპრივატბანკის" მოთხოვნაა:

1. კომპანიას ქონდეს თვეში არანაკლებ 100 000 ლარის ბრუნვა;
2. გახსნას ანგარიში სს "ტაოპრივატბანკი";
3. კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე გადმოიტანოს თრანამშრომლების სახელფასო პროექტი სს "ტაოპრივატბანკში".

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:
ა) განაცხადი მონაწილეობაზე;
ბ) თქვენი შემოთავაზება ჩვენი მოთხოვნების მიხედვით;
გ) ინფორმაცია ფასისა და მომსახურეობის გაწევის გრაფიკის შესახებ;
დ) მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;
ე) საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;
ვ) საბანკო რეკვიზიტები;
ზ) წარმომადგენლობასა და ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ქსეროასლი;

თქვენი განაცხადი წარმოდგენილი (გამოგზავნილი) უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე; ქ. თბიოლისი, 0119, წერეთლის გამზირი №114, სს "ტაოპრივატბანკში";

განაცხადისა და შემოთავაზების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 18 სექტემბერი 18:00. აღნიშნული ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. განაცხადი შეფასდება არაუგვიანეს 2009 წლის 22 სექტემბრისა, ზემოთ მითითებულ მისამართზე. შემოთავაზება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 55 55 55 (1112); 891 11 17 17 (მაკა კიზირია), ან 55 55 55 (1188); 891 11 01 10 (ლევან თოთაძე).

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ატარებს პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „ქართული შაქარი“-ს (ს.ნ. 240912303) კუთვნილი ქონება, კერძოდ:

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ცისტერნა 25 ტ | ცალი | 33 | 1800 | 59400 |
| 2 | ვაკუუმ აპარატი ე 4, პვა 40 (მეორადი) | ცალი | 1 | 25000 | 25000 |
| 3 | დამცლელი მოწყობილობა (მეორადი) | კომპ | 1 | 900 | 900 |
| 4 | თბომავლის გენერატორი | ცალი | 1 | 700 | 700 |
| 5 | თბომავლის კონტაქტორი (გამშვები) | ცალი | 3 | 80 | 240 |
| 6 | თბომავლის სტარტერი | ცალი | 1 | 650 | 650 |
| 7 | თბომავლის ძაბვის რეგულატორი | ცალი | 1 | 350 | 350 |
| 8 | მაგიდა | ცალი | 15 | 80 | 1200 |
| 9 | ქაფბეტონის ხაზი | კომპ | 1 | 18000 | 18000 |
| 10 | სავენტილაციო მილი (მეორადი) | კომპ | 1 | 800 | 800 |
| 11 | რედუქტორი რმ 250 | ცალი | 1 | 130 | 130 |
| 12 | საცერი ფპი 60 მკმ | კომპ | 1 | 750 | 750 |
| 13 | საცერი ფპი 90 მკმ | კომპ | 1 | 750 | 750 |
| 14 | სკამი | ცალი | 74 | 25 | 1850 |
| 15 | ტუმბო წყალსაქაჩი ცნსვ 105/98 | ცალი | 1 | 8000 | 8000 |
| 16 | ტუმბო წყალსაქაჩი ცნსვ 180/425 | ცალი | 3 | 12000 | 36000 |
| 17 | ჩამტვირთი მოწყობილობა (მეორადი) | კომპ | 1 | 1200 | 1200 |
| 18 | შნეკური კონვეირის მილი (მეორადი) | ცალი | 1 | 700 | 700 |
| 19 | ცენტრიფუდ 1921-01 (მეორადი) | ცალი | 2 | 15000 | 30000 |
| 20 | ციკლონი სეპარატორით სველი (მეორადი) | კომპ | 1 | 2500 | 2500 |
| 21 | ძრავი 0.75 კვტ | ცალი | 1 | 50 | 50 |
| 22 | ძრავი 2.0 კვტ | ცალი | 1 | 80 | 80 |
| 23 | ძრავი 5.5 კვტ 1500 ბრ/წთ | ცალი | 1 | 180 | 180 |
| | **სულ** | | | **189430** | |

(შეფასებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ

დაყადაღებული ქონება განთავსებულია მისამართებზე: ქარელის რაიონი, დაბა აგარა.

***აუქციონი ჩატარდება 2009 ქლის 28 სექტემბერს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №30, მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 28 სექტემბრამდე დაგვიკავშირდნენ მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში ტელეფონზე: 262-169.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს გლდანი-ნაძალადევის რაიონში არსებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზების და ეზოების მიმდინარე შეკეთების (ფრაგმენტული) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის სავარაუდო მოცულობებია:**

34000 კვ.მეტრი ასფალტ/ბეტონის დაზიანებული საფარის შეკეთება, მ/შორის 2500 კვ.მეტრი ტროტუარის საფარი, 2200 გრძ. მეტრი დაზიანებული ბორდიურის შეკეთება, 2220 გრძ. მეტრი ახალი ბორდიურის მოწყობა;

შესასრულებელი საგზაო სამუშაოების დეტალური აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, არაუგვიანეს 2009 15 დეკემბრისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 29 სექტემბერს 11:00 საათიდან - 2009 წლის 29 სექტემბრის 15:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, V სართული.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

4.1.1 ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

4.1.2 ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

4.1.3 ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).

4.1.4 ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

4.2.1 ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

4.2.2 პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს.

4.2.3 საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.

4.2.4 ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).

4.2.5 ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

4.3.1 ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

4.3.2 ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მომწოდებლების რეესტრში.

4.3.3 ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

4.3.4 ინფორმაციას ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**5.** განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.3 პუნქტისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 8 სექტემბრის 11:00 საათიდან - 2009 წლის 28 სექტემბრის 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N1, V სართული.

8. **თანხა გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;**

**დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი რაიონში არსებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზების და ეზოების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.**

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის ფორმით, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების **5 %-ის** ოდენობით, საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის ფორმით.

12. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნანა ლომჯარია - საკონტაქტო ტელეფონი: 65-58-58, ნინო კიკვაძე - საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-13 მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა V სართული.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

- სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები განცხადების მე-4-ე პუნქტის მიხედვით.

**სატენდერო კომისია**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის. ქ სამტრედია, რაზმაძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე, კერძოდ თამარ მეფის ქუჩაზე ახალი სახანძრო რაზმის შენობის მშენებლობაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.**

1. ტენდერი ცხადდება 1 (ერთი) ლოტად,
2. მოწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღე.
3. მოწოდების ადგილია ქ. სამტრედია, თამარ მეფის ქ. N
4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით 2009 წლის 8 სექტემბრის 11 **საათიდან 2009 წლის 28 სექტემბრის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ სამტრედია რაზმაძის ქ.N2 სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305,
5. წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება **2009 წლის 28 სექტემბრის 14 საათზე.**
6. საკვალიფიკაციო მონაცემებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გადახდისუუნარობის საქმე.

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არა ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია .

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების არ არსებობის შესახებ;

ვ) ორგანიზაციის მოგებისა და ქონების გადასახადის დეკლარაციები ბოლო ორი (2007-2008) წლის

**6.2 *ფიზიკური პირებისათვის:***

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მოქმედებს გაკოტრების საქმე;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების არ არსებობის შესახებ;

**6.3 როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი არ არის მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობოს შესახებ

**შენიშვნა:** ყველა ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია აღებული უნდა იქნას აღნიშნული განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

გ) რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში: ნოტარიალურად დამოწმებული საგადასახადო რეგისტრაციის ქსერო ასლი, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები. Iურიდიული პირის შემთხვევაში: მისი სრული დასახელება, გადასახადის გადამხდელის საინდიფიკაციო ნომერი, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, შესაბამისი უფლებამოსილი პირის- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

დ) სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ასახული უნდა იყოს :

დ.ა. სამშენებლო და სხვა მასალების ხარჯები რაოდენობრივ და თანხობრივ გამოსახულებაში;

დ.ბ. შრომის ანაზღაურება და ტრანსპორტის ხარჯები

დ.გ. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.დ. დარიცხვები პროცენტული მაჩვენებლის მითითებით (ზედნადები ხარჯები, მოგების პროცენტი და დღგ)

ე) ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადების შესახებ (გეგმა გრაფიკი)

ვ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოებზე გარანტიის შესახებ, მაგრამ არა ნაკლებ: **კონსტრუქციულ ნაწილზე 80 წელი, გადახურვით სამუშაოებზე 25 წელი.**

ზ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმისა და პირობების შესახებ;

თ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან იმის შესახებ, რომ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში არ არიან შეყვანილნი

თ) ინფორმაცია სამშებენლო, სარიაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესახებ

**შენიშვნა:** წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი სამუშაოების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

**7.** თუ პრეტენდენტი სამუშაოების ჩატარებისას გეგმავს სუბკონტრაქტორების გამოყენებას ვალდებულია სუბკონტრაქტორზე წარმოადგინოს იგივე მონაცემები რაც გათვალისწინებულია “6” პუნქტით

**8**. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება

**9.** პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პრეტენდენტებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგ მისამართზე: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305, 10-დან 18 საათამდე,

11. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას

13. ტენდერის შედეგედ გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია საბანკო გარანტიის სახით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტენატიული წესი.

15. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

16. სატენდერო წინადადების შეფასებისას არ გამოიყენება შეფასების განსხვავებული მეთოდი

17. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა არ უნდა უნდა იყოს სატენდერო წინადადების პაკეტის გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები, აღნიშნული ასახული უნდა იქნეს სატენდერო წინადადებაში.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ენაზე; სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია სატენდერო განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 28 სექტემბრის 11 საათამდე., ხოლო სატენდერო დოკუმენტაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2009 წლის 28 სექტემბრის 14 საათამდე.**

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტის მოთხოვნისთანავე შემდეგ მისამართზე ქ. სამტრედია, რაზმაძის ქუჩა N2, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305,

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 200 (ორასი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო ხაზინაში, ანგარიშის N200122900, ბანკის კოდი 220101222 შემდეგ სახაზინო კოდზე 30021 3174, გადახდის დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს “სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სახანძრო რაზმის შენობის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაციისათვის”

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების გახსნა და პრეტენდენტთა დასახელება მოხდება კომისიურად **2009 წლის 28 სექტემბერს 14 საათზე.**

სატენდერო დოკუმენტაციის შეფასება მოხდება პრეტენდენტთა დასახელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა დამატებითი ინფორმაციისათვის უნდა მიმართოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - ია ხოშტარიას, შემდეგ მისამართზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305, 10-დან 18 საათამდე, ტელ 895332225

სატენდერო კომისია

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს**
**კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე:**

- გინეკოლოგი
- ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი
- ბავშვთა ნევროლოგი
- მამოგრაფიის სპეციალისტი
- ნეფროლოგი
- უროლოგი
- დერმატოლოგი
- კარდიოლოგი
- ოფთალმოლოგი
- რევმატოლოგი

**მოთხოვნები:**

